დიდი ხანი არაა, რაც 35 წლის ესპანელმა ფორვარდმა **რაულ ტამუდომ**, რომელიც წლების განმავლობაში „ესპანიოლის" კაპიტანი იყო, მექსიკური „პაჩუკა" დატოვა. ცნობილი გახდა, რომ ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს და უახლოეს დღეებში ოფიციალურად გამოცხადებს „პენსიაზე გასვლას". „პაჩუკის" რიგებში მან მხოლოდ 8 მატჩი გამართა და გოლის გატანა ვერ შეძლო.

იგუაინს წლეულს ვერ ვნახავთ

ჟოზე მოურინიოს იმედებს ცივი წყალი გადაესხა - 2012 წლის ბოლომდე მოთეზეს შეტტეის ცენტრში ფრანგი **ქარიმ ბენზემას** იმედზე ყოფნა, **გონსალო იგუანიმა** ტრავმა ვერ მოირჩინა და წლის ბოლომდეც მისი თამაში გამოირიცხა. იგუანი ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, მაგრამ მოედანზე სავარჯიშოდ ჯერ ვერ გადის. შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა ტრავმა ნოემბრის დასაწყისში, დორტმუნდის „ბორუსიასთან" დაპირისპირებაში მიიღო. იგუანი 6 იანვარს, „რეალ სოსიედადთან" მატჩისთვის ჩადგება მწყობრში.

მოგებიანი სტუმარი

„ვალიადოლიდმა" ახლახან საკუთარ თავზე გამოსცადა, რა მომგებიანია კლუბისთვის ლა ლიგაში თამაში. წინა ტურში „ვალიადოლიდს" „რეალი" სტუმრობდა, ამ თამაშმა კი მოკრძალებულ ლეონურ კლუბს ესრობაშად 330 ათასი ევრო მოუტანა. ამ შეხვედრას 22 700 მაყურებელი დაესწრო, რასაც სატელევიზიო თანხაც დაემატა. ერთი თამაშით „ვალიადოლიდმა" კლუბის წლის შემოსავლის 2 პროცენტამდე მიიღო. სხვათა შორის, „რეალს", „ბარსელონას" და სხვა კლუბებს შორის იმხელა სხვაობაა, რომ „ვალიადოლიდს" აქამდე ერთი მატჩით 30 ათას ევროზე მეტი არ ჰქონდა ნაშოვნი.

რეალის კაპიტანს ამერიკაში ელიან

იკერს ამერიკა და მშვიდი ცხოვრება უნდა

ახლახან **სერხიო რამოსმა** განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი კარიერის მადრიდის „რეალში" დაასრულებს. უცნაურია, მაგრამ იმავე აზრის არ არის გუნდის კაპიტანი **იკერ კასილიასი** - 31 წლის მეკარემ განაცხადა, რომ კარიერის ბოლო წლები „უფრო მშვიდ გარემოში" ურჩევნია გაატაროს, სიმშვიდე და „რეალი", მოგეხსენებათ, შორი-შორსაა.

ესპანურ „ლა სექსტასთან" ინტერვიუში კასილიასმა თქვა, რომ არ ჰგონია, 4-5 წლის შემდეგაც „რეალის" მეკარე იქნება, ის თავს უფრო მშვიდ გარემოში დაიგულებს და ეს ალბათ ამერიკული საფეხბურთო ლიგა MLS იქნება. „რეალის" გუნდმეგობარებმა ამ ერთი პირობა მისცეს: „არასოდეს გადავალ ისეთ კლუბში, რომელსაც ოდესმე მაინც მოუწევს „რეალთან" დაპირისპირება, ეს გამორიცხულია".

პორტუგალიური გარჩევა რეალში

ესპანურმა პრესა იუწყება, რომ ორშაბათის საღამოს ვარჯიშზე, „სოფდად დეპორტივას" ბაზაზე ორი პორტუგალიელის შელაპარაკება მოხდა - მთელი გუნდის თვალწინ **ჟოზე მოურინოს** ასისტენტმა **რუი ფარომ** და **ფაბიო კოენტრაომ** ნაირხეული. კოენტრაო ტრავმირებული იყო, თუმცა ვარჯიში მან შეძლო. 5-5-ზე თამაშში პორტუგალიელი მცველი ჯერ ერთ გუნდში იყო მე-6 კაცი, შემდეგ მეორეში, მას გამორჩეული ფერის მაისური ეცვა, რომ თანაგუნდელები მორიდებოდნენ ტრავმირებულს. ვარჯიშის ბოლოს რუი ფარო რაღაცით უკმაყოფილო დარჩა და ახსნა-განმარტება ფეხბურთელს მოსთხოვა, რასაც პორტუგალიურ ენაზე მწვავე კამათი მოჰყვა ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის. ბოლოს, კოენტრაო შეტრიალდა და ისე, რომ ნებართვა არ უკითხავს, გასახდელისკენ წავიდა.

ჟოზე მოურინოს გადაწყვეტა, კოენტრაოს სათასო განაცხადში არ შეიყვანოს და დროებით რეზერვისტებში გადაიყვანოს.

საქართველო. ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი

ფალკაოს სეზონში 7 მილიონს სთავაზობენ

მარიალია, „მარკა" უკვე გამოაცხადა, რომ **რადამელ ფალკაო** მადრიდის „რეალში" გადადის, მაგრამ „ატლეტიკო" ასე იოლად არ აპირებს საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვას. როგორც „ელ მუნდო" წერს, კლუბის პრეზიდენტი, **ენრიკე სერესო** ყველაფერს გააკეთებს, რომ 26 წლის „ელ ტიგრემ" გაისადაც „რობინზონ-კოში" ითამაშოს. თუკი მადრიდელები სეზონის ბოლოს სამეულში შევლენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებენ, ფალკაოს გაყიდვის აუცილებლობას თავიდან აიცილებენ ფინანსური თვალსაზრისით. „ატლეტიკოს" შეუძლია ნარმატებით დაიცვას ევროპალიგის ტიტულიც. „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა კოლუმბიელს გასამრჯელოდ 7 მილიონ ევროს (15 მილიონს გადასახადების ჩათვლით) შესთავაზებს. ეს კი ისეთი ხელფასია, რომელიც თავის დროზე კლუბში არც **ფერნანდო ტორესს** და არც **სერხიო აგუეროს** არ შესთავაზებიათ. თუმცა საბოლოო სიტყვა ფალკაოს და მის მენეჯერ **ჟორჟე მენდეშს** ეკუთვნით. „ელ მუნდოს" აზრით, თუკი ფეხბურთელი მაინც ნასულის გადაწყვეტს, მისი შემდგომი კლუბი უფრო ინგლისური იქნება და არა „რეალი", ალბათ, „ჩელსი".

ასეთი ხელფასი თავის დროზე ელ ნინიოსაც არ შესთავაზებიათ

რეკორდი

მიულერი? მესი? ჩიგალუ!

ამას წინათ **ლიონელ მესის** რეკორდზე (86 გოლი 2012 წელს) წერასას, ვამბობდით, რომ შესაძლოა, რომელიმე სუსტ საფეხბურთო ქვეყანაში მეტი გოლიც აქვთ გატანილი. და აი, ზამბიელები ამტკიცებენ, რომ 1972 წელს მათმა ადგილობრივმა ნახევარმცველმა 107 გოლი გაიტანა. ეს ის შარვენებელია, რომლის გადაფარვაც ლეოს დარჩენილ სამ შეხვედრაში ნაღდად აღარ შეუძლია.

ზამბიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას გაუგზავნის დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, **გოდფრი ჩიგალუმ** 1972 წელს 107 გოლი გაიტანა.

ჩიგალუ 45 წლის ასაკში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჩრდილო როდეზიელი ჩიგალუ 1970 წელს გადავიდა „კაბვე უორიორსში". 1980 წელს ის ზამბიის ნაკრების რიგებში მოსკოვის ოლიმპიადაზე მონაწილეობდა და საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში გოლიც გაიტანა. 1993 წელს ჩიგალუ ზამბიის ნაკრების მწვრთნელი გახდა, იმავე წელს ნაკრების თვითმფრინავი ოკეანეში ჩავარდა და ბორტზე მყოფი 40-მდე ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ჩიგალუც.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნებერიძემ

გოდფრი ჩიგალუმ 1972 წელს 107 გოლი გაიტანა

ლიგის თასი. 1/4-ფინალი. გამოხმაურება

უძლური არსენალი

ბრედფორდი-არსენალი 1:1 (2:0, 3:2)

გოლები: 1:0 ტომპსონი (16), 1:1 ვერმალენი (88)

ბენ: 1:0 დოილი, 1:0 კასორლა (მეკარე), 2:0 გ. ჯონსი, 2:0 მაბამბი (ძელს), 2:0 დარმი (მეკარე), 2:1 უილშირი, 3:1 ვოლკოვი, 3:2 ოქსლეიდ-ჩემბერლენი, 3:2 რ. ჯონსი (მეკარე), 3:2 ვერმალენი (ძელი)

ბრედფორდი: დოუსი, მორდიჩი, მაკარი, მაკმოე, დარმი, ატკინსონი (92. ბარგოტი), გ. ჯონსი, დოილი, ტომპსონი (72. რ. ჯონსი), ველში (74. კოლეი), ჰანსონი

არსენალი: შრესლი, სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი, რემსი (69. როსიცკი), უილშირი, კასორლა, კოკლენი (60. მაბამბი), პოდოლსკი (70. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), ვენგერი

ინგლისის ლიგის თასის 1/4-ფინალში "არსენალი" "ბრედფორდს" ესტუმრა და ძირითადი და დამატებითი დროის ფრედ დასრულების შემდეგ პენალტების სერიაში დამარცხდა. გადამწყვეტ მომენტში მასპინძლებმა მათზე ბევრად უფრო გამოცდილ ფეხბურთელებზე უკეთ ურტყეს. **არსენ ვენგერმა** მატჩის შემდგომ კომენტარი "მეთოდებთან" ოფიციალურ ვებგვერდს მისცა. აი, რას ამბობს ის: "შედეგით იმედგაცრუებული ვარ, თუმცა "ბრედფორდს" მაინც ვულოცავ ნარმატებას. მათ მეჩვიდრე ჩვენზე ბევრად უკეთ დაიწყეს, გაგვიტანეს და დაცვაში ჩადგნენ. მეტოქემ ამ მხრივაც გამოიჩინა თავი, რადგან თავს ორგანიზებულად იცავდა. ჩვენ მათი ეშელონირებული უკანა ბაზის გატეხა მხოლოდ ერთხელ მოვახერხეთ. ბელს გვიშლიდა ის, რომ თამაშში ძალიან ცუდ მინდორზე გვიწევდა. ეს იყო ჯლასკაური ინგლისური სათასო შეხვედრა, სადაც მომენტების ჩვენ ვქმნიდით, მაგრამ მათი რეალიზება ვერ შეძელით. როცა საქმე პენალტების სერიამდე მიდის, უნდა იცოდე, რომ შენი და მეტოქის შანსები წარმატებაზე უკვე თანაბარია. მაშინ, როცა შენი პირველივე ფეხბურთელი აფუჭებს თავის შანსს, მოგება კიდევ უფრო რთული ხდება. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ისღა დაგვრჩენია, კონკურენტისა მომდევნო მატჩებზე მივმართოთ, რადგან ფინალური სასტვენის შემდეგ ყოველთვის სხვა მისიის ჯერი დგება ხოლმე".

BBC-ის ფურნალისტთან კომენტარი გააკეთა "ბრედფორდის" თავკაცმა **ფილ პარკინსონმაც**: "ჩემი ფეხბურთელები დღეს ბრწყინვალედ თამაშობდნენ. სათამაშო გეგმისთვის 120 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ გადაუხვევიათ. ისეთ ტექნიკურ და სწრაფ მეტოქესთან, როგორიც "არსენალია", სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი. ბევრმა შეიძლება თქვას, რომ პენალტების სერია ლატარიაა და ჩვენ გაგიმართლა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ზოგი იმასაც გაითვალისწინებს, თუ რამდენად კარგები ვიყავით".

ბრედფორდის ფეხბურთელები ლიგის თასის 1/2-ფინალში გასვლას ზეიმობენ

ინტერვიუ. არსენ ვენგერი

არასოდეს ვიცი, რა მოხდება ხვალ

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებიდან რამდენიმე დღეში "ევროსპორტმა" არსენ ვენგერს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც განვლილი თამაშების შეფასება სთხოვა. ფრანგ სპეციალისტთან ინტერვიუ, როგორც ყოველთვის, საინტერესო გამოვიდა.

- ჯგუფური ეტაპის მთავარ სიურპრიზად რას მიიჩნევთ?

- ჩემთვის უმთავრესი მოულოდნელობა ის იყო, რომ "ჩელსი" და "მანჩესტერ სიტი" პლეი ოფში ვერ გავიდნენ. ლონდონური კლუბი საერთოდაც პირველი აღმოჩნდა მოქმედ ჩემპიონებს შორის, რომელთაც ეს ეტაპი ვერ გადალახა. ფფერშორს, ეს კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ტენდენციები ნელ-ნელა იცვლება. თუკი წლებისნინ პრემიერლიგური კლუბები პოლო ეტაპებამდე დომინირებდნენ, ახლა სიტუაცია შეცვლილია.

- ამ მხრივ განსაკუთრებით გერმანული კლუბების გამოსვლა უნდა აღვნიშნოთ.

- დიახ, გერმანელებმა დაამტკიცეს, რომ ძალიან ძლიერები არიან გუნდურ თამაშში. ამ ქვეყანაში ფეხბურთი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ფინანსური მხარეა აღსანიშნი, რადგან არასდროს ხარჯავენ იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლიათ.

- მიიჩნევთ თუ არა დორტმუნდის "ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად?

- დიახ, რადგან მათ პირველი ადგილი დაიკავეს ჯგუფში, სადაც ისეთი მაღალი დონის გუნდები ჰყავდა კონკურენტები, როგორებიც მადრიდის "რეალი" და "მანჩესტერ სიტი" არიან.

- ჯგუფური ეტაპების დასრულების შემდეგ კიდევ რომელი გუნდების გამორჩევა შეგიძლიათ?

- აღვნიშნავდი "მანტარს". უკრაინელები ურთულესი ჯგუფიდან გავიდნენ მომდევნო ეტაპზე. ისინი მრისხანე კონკურენტებთან მატჩებშიც კი ახერხებდნენ მოედანზე დომინირებას. რა საკვირველია, გამოყოფ "იუვენტუსსაც", როგორც უდიდეს გუნდს, რომელმაც საბოლოოდ მოახერხა აღორძინება.

- ფეხბურთელებიდან ვის გამოყოფთ?

- მარკო როისს, განსაკუთრებით "მანჩესტერ სიტისთან" მატჩის გამო, სადაც ის ნარმოუდგენელად ეფექტური იყო და ბურთს არაჩვეულებრივად გრძნობდა. გამოცყოფ სტეფან ელ შაარავისაც, ნიჭიერ და ტექნიკურ ფეხბურთელს. შესაძლოა, ის უბურთოდ მოთრაბიასა ეფექტური არ არის, მაგრამ მთავარია, რომ მუდმივად სწავლობს, რასაც მასში ძალიან ვფასობ.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უახლოეს მომავლში "არსენალს" შეუერთდებით?

- არასოდეს ვიცი ზუსტად, თუ რა მოხდება ზვალ, მაგრამ ეს შაარავიც მხოლოდ ის გითხარით, რომ მაღალ მომწონს მისი თამაში.

- რითი შეგიძლიათ ახსნათ ის, რომ "პარი სენ-ჟერმენი" ჩემპიონთა ლიგასა და ლიგა 1-ში ორი განსხვავებული გუნდია?

- პარიზელები განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მოექცნენ. თუკი ისინი ჩემპიონატს მოიგებენ, ამისათვის მადლობას არავინ ეტყვის, რადგან ყველა ამას ელოდება. ლიგაში კი სიტუაცია სხვანაირია და ამიტომაც ზეწოლის გარეშე ასპარეზობენ. ხელმძღვანელობამ მოთმინება უნდა იქონიოს. გუნდში ძალიან ბევრ უბრალოდ კარგი ფეხბურთელი კი არა, სუპერვარსკვლავია, მაგრამ ეს ფეხბურთია და შედეგის მიღება გაწერილი გეგმის მიხედვით ყოველთვის არ ხდება.

ამბები

ქართველი ფეხბურთელი ბიგლისტად

"ანდერლეხტის" მცველი **გიორგი ქინქლაძე** ბიგლისტად ქცეულა. ბელგიის ჩემპიონატის ლიდერის ოჯახში 31 წლის **ნემანია ვიდიჩის** მინდორზე დაბრუნებას "სიტისთან" დერბის წინაც ელოდნენ, მაგრამ **ალექს ფერგიუსონმა** აღარ გარისკა. მოუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი სრული დატვირთვით ვარჯიშობდა, მოტლანდიელმა ის განსახადს მიღმა დატოვა. სამაგიეროდ ვიდიჩი მოეწვნენ XVII ტურში, "სანდერლენდთან" მატჩში გაიმოწვება. შეგახსენებთ, რომ ვეტერანმა ტრავმა 15 სექტემბერს, "უიგანთან" IV ტურის შეხვედრის მეორე ტაიმში მიიღო. "სიტისთან" ვიდიჩის მინდორზე გამოჩენა გაუმართლებელი რის ილუზიებია. მის გამოყენებას მხოლოდ მომდევნო ტურში ვგეგმავ. ის, რომ ნემანიამ ვარჯიში განაახლა, გუნდისთვის დიდი პლუსია. ვიდიჩი ის მებრძოლია, რომელიც ამ ტრავმე ყველა ზე მეტად გეკვირდება," – აცხადებს "ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი.

ლივერპულს თავდამსხმელი სჭირდება

ის, რომ "ლივერპული" იანვრის სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებდა, დიდი ხანია, ცნობილი იყო. "გარდიანმა" ამ დღეებში უკვე დეტალები გაგვაცნო: მერსისაიდელები 18 მილიონი ფუნტის დახარჯვას აპირებენ თავდასხმის გასაძლიერებლად. "ნიველების" სამიზნეები ორი ფეხბურთელია. ესენი არიან "ჩელსის" 23 ნლის ნევრი **დენილ სტარიჯი** და "პლეპაულის" 20 ნლის შემჭიდეი **ტომ ინსი**. უკანასკნელი სწორედ "ლივერპულის" აკადემიის აღზრდილია და მერსისაიდელები მისი უმორაგბეი შესყიდვის უფლებას ფლობენ. **ბრენდან როჯერსი** "ჩელსის" სტარიჯის 6-თვიან იჯარას სთავაზობს მისი შემდგომი გამოყიდვის პირობით. თუ ამგვარი გარიგება შედგა, მაშინ ჩრდილოირლანდიელს საკმარისი სახსრები დარჩება ინსის გადასაბარებლადაც.

გესაძლო გაცვლა

თეო უოლკოტს "არსენალთან" ხელშეკრულება 2013 ნლის ივნისში უმთავრდება. მას კლუბთან შეთანხმების ბოლო ვადა ახალ წლამდე აქვს, რის მერეც ჩრდილოლონდონელები მასთან მოლაპარაკებებს შეწყვეტენ. მოგეხსენებათ, გართულებულია ურთიერთობა **ლუიმ ნანისა** და "მანჩესტერ იუნაიტედს" შორისაც. ორივე შემხვედვეაში ფეხბურთელების უკმაყოფილების საბაბი კლუბების მიერ მათთვის შეთავაზებული ახალი კონტრაქტებია. ამ ფონზე "დელი ტელეგრაფმა" იანვარში მოფლინთი შესაძლო განეითარების სანტაგრესო სცენარი შემოგვთავაზა: გრანდები ფეხბურთელებს გაიცლიან. ჩვენი აზრით, თუკი მხარეებს იდეა ქუფაში დაუჯდათ, "იუნაიტედს" თანხის დამატება მოუწევს. სხვა თუ არაფერი, უოლკოტსა და ნანის შორის ასაკში სხეობა სამი წელია.

სანი: მილევსკი ნიუკასლში

"სანის" მგზავრებით, "ნიუკასლში" მობუზრდათ **დემბა ბასთან** მუდმივი "ჭიდაობა". სენეგალელი წელნადზე მეტია, ყველაფრით უკმაყოფილია. "კაკაჯგებმა" იანვარში მისი თავიდან მოშორება გადანყვიტეს. 27 ნლის თავდასმსხვლის შემცველად ჩრდილოინლისელებს კიევის "დინამოდან" **არტემ მილევსკის** შეეძინა აქვთ განზრახული. ფეხბურთელის აგენტი ადასტურებს, რომ მის კლიენტს "პიციური კლუბისგან აქვს შეთავაზება". "დინამო" 27 ნლის შემჩეცვს 10 მილიონ ევროდ აფასებს.

გვგიდია მოამზადა **ლევან გიგილაშვილმა**

ბერი დისკვალიფიცირებულია

"ოუნაიტედთან" შეხვედრის მიწურულს **გარეთ ბერისა** და **მარტინ ატკინსონს** შორის მომხდარ ინციდენტზე გუშინდელ ნომერში მოგახსენებდით. საფეხბურთო ასოციაციამ გულდასმით მოუსინჯა ფეხბურთელის არგუმენტებს და დაასკვნა, რომ "სიტის" 31 ნლის ნახევარმცველმა თავის თავს ზედმეტის უფლება მისცა, როცა ატკინსონი აუთად მოიხსენია. დისციპლინარებმა "ქალაქელების" ერთ-ერთ ლიდერს 1-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გამოუწერეს. დისკვალიფიკაციის გარდა გარეთი ჯიბეს 8 ათასი ფუნტით ქვითხელებს.

ტრანსფერები ინტრისთვის: ბენიტი, ჯუნიორი...

ესპანური AS-ის ინფორმაციით, პრემიერლიგის ჩემპიონები "ბეტისიდან" 25 ნლის **ბენიატ ტრებარიას** შეეძინა გეგმავენ. ისინი მზად არიან, ანდალუსიელებს 20 მილიონი ევრო შესთავაზონ. ფეხბურთელსა და სევილიურ კლუბს შორის გაფორმებულ კონტრაქტში სწორედ ეს საკომპენსაციო თანხა წერია. ცენტრალურმა ნახევარმცველმა მიმდინარე სეზონში 15 თამაში ჩაატარა, რომელშიც 3 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა მიითვალა. ესპანური ფეხბურთის ექსპერტები თამაშს **ანდრეა პირლოს** ამსგავსებენ და მას დიადი იტალიელის მომავალს ნინასწარმეტყველებენ.

AS-ის გარდა "სიტის" ტრანსფერებზე PROtransfers-იც წერს. ვებგვერდის მტკიცებულებით, "ქალაქელები" "კორინთიანსის" ცენტრალური ნახევარმცველის, 24 ნლის **პაულინიოს** ტრანსფერს ახალ წლამდე დაუსვამენ წერტილს. ბრაზილიური გრანდი ნიჭიერ ჭაახაზელში 12 მილიონ ფუნტს ითხოვს. თუკი ეს ამბავი დადასტურდა, გამოდის, რომ გარიგება ეჩეხერაზე ალარ უნდა შედგეს, რადგან ორივე კლუბი ბრაზილიელ ნინასწარმეტყველზე ორიენტირებულა. თუმცა "სიტის" ბოსებს რას გაუგებ?

სიტის ბეტისიდან ბენიატ ეჩეხარიას შეეძინა სურს

მანჩესტერ სიტი

მანჩინის შობამდე დაითხოვენ

გამოცემა "დეილი სტარის" ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა იმედგაცრუებულია რემჩინთია ლიგაში რობერტო მანჩინის გუნდის თამაშით და იმის გათვალისწინებით, რომ "ქალაქელები" არც პრემიერლიგაში ბრწყინავენ ძველებურად, მათგან მოულოდნელი სუნაცა არ იქნება, რომ ბატონიც სპეციალისტს შობის დღეებში კარისკენ მოუთითონ, რათა ე.წ. "ბოქსინგ დეიზე" გუნდს ახალი იდეებით შეამარხონი თავიდან ჰყავდეს. მანჩინის მდგომარეობის გამოსასწორებლად "ნიუკასლთან" (15 დეკემბერი), "რედინგთან" (22 დეკემბერი) და "სანდერლენდთან" (26 დეკემბერი) შეხვედრები დაინიშნა. თუკი "სიტის" ამ შეხვედრებში ქულა მაინც დაკარგა, რობერტოს უკვე ვეღარფერი უშველის.

არასოდეს ვიცი, რა მოხდება ხვალ
ინტერვიუ. არსენ ვენგერი
ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებიდან რამდენიმე დღეში "ევროსპორტმა" არსენ ვენგერს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც განვლილი თამაშების შეფასება სთხოვა. ფრანგ სპეციალისტთან ინტერვიუ, როგორც ყოველთვის, საინტერესო გამოვიდა.

იუვენტუსი

იუვეს გეგმა: ჯერ დროგბა, მერე ლორენტე?

კოტდ'ივუარელი იანვარში შეიძლება ტურინში წავიდეს

ტურინის „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონატის ცხრილს ერთბირთვნულად ლიდერობს და ჩემპიონთა ლიგის მერვეფინალშიც გავიდა. ექსპერტები „იუვეს“ არა მარტო სერია A-ში მინიმუმ ევენ უპირობო ფავორიტად, არამედ ჩემპიონთა ლიგის მოგების ერთ-ერთ კანდიდატადაც რაცხავენ. ამის მთავარი მიზეზი „გებერი ქალბატონის“ სტაბილურობა და დაბალანსებული შემადგენლობაა. საყოველთაო აზრით, „იუვეს“ ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ მწვრთნელ ანტონიო კონტეს განკარგულებაში არ არის მაღალი კლასის ცენტრფორვარდი, ისეთი „საგოლე მანქანა“, როგორიც ბოლოს დავიდ ტრეზეგე იყო.

არაოფიციალურად ცნობილია, რომ ტურინელები ფაქტობრივად შეთანხმებულები არიან ესპანელ **ფერნანდო ლორენტესთან**, მაგრამ ბილბაოს „ატლეტიკის“ ხელმძღვანელები ამ უკანასკნელის დათმობას ზაფხულამდე, ანუ, მანამდე არ აპირებენ, სანამ კონტრაქტი არ დაუმთავრდება. „იუვეს“ კი მაღალი კლასის გოლეადორი ახლავე სჭირდება. სწორედ ამიტომ, „გამეტი დელო სპორტის“ ინფორმაციით, „იუვენტუსმა“ ჩინეთში გადახვენილ **დიდე დროგბას** დაადგა თვალი და კოტდ'ივუარელის გადაბირებას ინვარში შეეცდება.

34 წლის დროგბას, რომელიც წინა ჩემპიონთა ლიგის გმირი გახდა, „შანხაი შენხუადან“ ნასვლა შეუძლია, თუმცა იანვარში აფრიკის თასზე უნდა იასპარეზოს, რაც იმას ნიშნავს, რომ „იუვენტუსს“ მოგვიანებით უნდა შეუერთდეს. ზაფხულში კი ტურინელები ლორენტეს გადაბირებენ. ეს უკანასკნელი „იუვეს“ გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ „პიდპაომ“ არ დათმო და მას მერე ლორენტეს „ატლეტიკში“ თითქმის აღარ ათამაშებენ. შესაბამისად, ფაქტია, რომ ფერნანდო ზაფხულში ბასკურ კლუბს დატოვებს, რადგან მის კონტრაქტს ვადა სწორედ ივნისში ეწურება.

ანტონიო კონტე დაინტერესებულია! ვიხილავთ დიდე დროგბას იუვენტუსის ფორმაში?

„გაძეძა“: იუვე დროგბას ხანგრძლივ კონტრაქტს შესთავაზებს

„გაძეძა დელო სპორტი“ იმასაც წერს, რომ „იუვენტუსს“ დროგბა მხოლოდ ზაფხულამდე კი არ სჭირდება, არამედ „გებერი ქალბატონის“ ბოსები მას მინიმუმ წლინახევრიან კონტრაქტს შესთავაზებენ, რითაც კოტდ'ივუარელი წესით მოხიბლული უნდა დარჩეს, რადგან უკვე 34 წლისაა და ხერხიანი კონტრაქტის გაფორმების მართლა უკანასკნელი შანსი აქვს.

ფაქტია, რომ „იუვენტუსმა“ ზამთარშივე უნდა გადაიბიროს მაღალი კლასის გოლეადორი, რადგან ამჟამინდელი შემადგენლობიდან ბომბარდირულ თვისებებს „იუვეს“ არც ერთი თავდამსხმელი არ აგელენს. ამ სეზონში ფორვარდებიდან ყველაზე მეტი გოლი **ფაბიო კვალიარელას** აქვს - მან მეტოქეთა კარი 6-ჯერ დალაშქრა, რაც ნამდვილად არაა ისეთი შედეგი, როგორიც იტალიის ჩემპიონატის ფავორიტსა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევის სურვილის მქონე გრანდის საუკეთესო ბომბარდირს შეეფერება. აღსანიშნავია, რომ „იუვეს“ გოლეადორთა რეიტინგში კვალიარელას ცენტრალური ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** მოსდევს, რომელიც 5 გოლით **სებასტიან ჯოვინკოსთან** ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

ჯოვინკოსა და კვალიარელას გარდა „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში თავდამსხმელებიდან ყველაზე ხშირად **მირკო ვუჩინიჩი** თამაშობს ხოლმე, რომლის ანგარიშზე ამ სეზონში მხოლოდ 2 გოლია (13 მატჩში). „იუვეს“ პირველ „ცხრა ნომრად“ ვერც **ალესანდრო მატრი** ჩამოყალიბდა - მას 8 მატჩში ოდენ ერთი გოლი აქვს გატანილი. ზაფხულში არნდინ აყვანილი დანიელი თავდასხმელი **ნიკლას ბენდტნერი** კი, რომელიც ტურინელებმა მხოლოდ იმიტომ გადაიბირეს, რომ ლორენტე ვერ ჩაიგდეს ხელში, ჯერ კიდევ უგოლოდაა. სწორედ ამიტომ ელიან ტურინში ჯერ დროგბას, მერე კი ლორენტეს.

გოტფრიდ ლენცი

სატრანსფერო ამბები

ვერ ვნებულ ქართველ ფეხბურთელებს ყარაბაღის ოქროს ბურთი

“ბაქაზე დღეს საჩუქრის” ბიჭი გაგრცელებული ინფორმაციის თანახმად, “იუვენტუსის” შესვლურები ერთ საინტერესო ტრანსფერს ამზადებენ... ლაპარაკია ვაზანის “რუბინის” მცველის, **სალვატორ ბოკეტის** გადაბირებაზე. 26 წლის უკანასკნელი 2008-2010 წლებში “ჯენოას” ლორსებას იცავდა და იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც კი ასპარეზობდა, თუმცა შემდეგ რუსეთში გადაბარგდა და ჩრდილში მოექცა. ჩრდილოეთ იტალიაში, თორემ რუსეთის ჩემპიონატს საკმაოდ კარგად მოეგო, “რუბინში” 52 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 9 გოლი გატანილი, რაც მცველისთვის საკმაოდ კარგი მეფდგეა.

ბოკეტის “რუბინთან” ხელშეკრულება ზაფხულში ეწურება, მაგრამ როგორც ავტორიტეტული გამოცემა ოფსეტა, კონტრაქტის ცალმხრივად განსვეტის უფლება ზამთარშივე აქვს. “იუვენტუსის” ერთი კვალიფიციური მცველი ნამდვილად სჭირდება, რადგან **ლუსიო** ტურინიდან აბარგების აპირებს, ძირითადი შემადგენლობის ტროიდან (ბარცალი, ბონუჩი, კიელინი) ერთ-ერთიც რომ დაშავდეს, გუნდს სერიოზული პრობლემები ექმნება. მოკლედ, პიემონტელებს მცველი სჭირდებათ და არჩევანი ბოკეტზე შეაჩერეს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

ჯენოა ძლიერდება

“ჯენოა” მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდად ასპარეზობს და დაქვეითების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. კლუბის მესვეურები სატრანსფერო ფანჯრის გამოყენებას აპირებენ, რომ გუნდი გააძლიერონ და როგორმე ელიტაში დატოვონ. ამ მიმართულებით უკვე გადადგეს ნაბიჯები და შედეგებსაც მიაწიეს.

“გაძეძა დელო სპორტის” ინფორმაციით, ანგრიდან გენუური გუნდის ღირსება 29 წლის **ანტონიო ფლორო ფლორესი** და 32 წლის **ფრანსესკომი მაურიელი** დაინტერესა. პირველი “უდინეზის” საუთორებაა და მასში გენუელები 3 მილიონ ევროს გადაიხდიან. ცნობისთვის, ფლორო ფლორესი დეკემბრის ჩათვლით ესპანურ “გრანადაშია” განათორებული. აქედ ეთქვათ, რომ 2011/2012 წლების სეზონში მას უკვე ნათამაშები აქვს “ჯენოაში”. რაც შეეხება მათ ზალეშს, ის “ლაციოს” ფეხბურთელია, თუმცა მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშია - ბრაზილიელი “ჯენოაში” არენდით გადავა. მოკლედ, გენუურმა გუნდმა გაძლიერება აქედანვე დაინყო.

ლაშა წიკლაური

ჩვენ ბრუნვით წიგნებს!
ელვა.ge
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!
ბარათის და წიგნების ბრუნვადობის საიტი
www.elva.ge
ბარათით 1 წლით ბაზეთი „ლელო“ და „ვეჩერნაია მოსკვა“ ერთად
ერთი ბარათით შეიძინეთ საჩუქრად ბარათი „ვეჩერნაია ს.“ - ის წიგნი ბესტსელერები:
„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი“
„დავით აღმაშენებელი“ - ჯონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი“ (3 D)
მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი
დავით აღმაშენებელი
ელვა.ge ბარათის და წიგნების ბრუნვადობის საიტი
ბარათით შეიძინეთ საჩუქრად ბარათი „ვეჩერნაია ს.“ - ის წიგნი ბესტსელერები:
„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი“
„დავით აღმაშენებელი“ - ჯონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი“ (3 D)
დაბეჭდვის ხარისხი, ზომა და ფასი
ბეჭდვის ხარისხი, ზომა და ფასი
ბეჭდვის ხარისხი, ზომა და ფასი

ძიუდო. ახალი წესები

ჯაჭვის ექსპერიმენტები

ძიუდოს რიოდე ახალი წესები დაადგინა

მრიცხოვნიანი ციკლის სანწყის ეტაპზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ახალი წესებით ხვდება, რომელთა უმრავლესობაც არსებითია და ძირეულად ცვლის საჭიდაო სტილს. ჯერჯერობით ლაპარაკია სავქსპერიმენტო პერიოდზე - რეფორმები დაინერგება 2013 წლის 9-10 თებერვალს პარიზში გასამართ „დიდ მუხრაზე" და გაისადგე 26-31 აგვისტოს რიო დე ჟანეიროში ჩასაგარებელი მსოფლიოს პირველობის ჩათვლით ოლიმპიადებს. ამ პერიოდში დააკვირდებიან, რამდენად გაამართლებს, რომელი პუნქტი იქნება ნარმატებული, რომელი - არა, შემდეგ კიდევ იმსჯელებენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.



იწო მსოფლიო, გაახდა კონტინენტური

თავიდან ისეთ ცვლილებებზე ვთქვათ, რომელიც უფრო ტექნიკურ მხარეს ეხება და არა საჭიდაო სტილს. კერძოდ, კვლავ ბრუნდება დამამშვიდებელი ეტაპი, რომელიც ბოლო წლებში მასტერსზე, „დიდ მუხრაცხა" და „დიდ პრიზზე" არ მოქმედებდა - ამიერიდან უკლებლივ ყველა შეჯიბრებაზე იმოქმედებს. თუმცა საწუაებაში კვლავაც მეოთხედფინალში დამრცხებულები გადავლენ და არა ადრინდელ ეტაპზე წაგებულები. მსოფლიოს თასებს ამიერიდან კონტინენტური თასები ენოდებათ. შეიცვალა ქულათა დარიცხვის სისტემაც. აქ უცვლილად მხოლოდ კონტინენტური შეჯიბრებების შეფასება დარჩა - წემპიონი კვლავაც 100 ქულას მიიღებს დანარჩენ ტურნირთა შეფასებები კი განპარდა. ამიერიდან „დიდი პრიზზის" გამარჯვებული 300 ქულას მიიღებს ძველი 200-ის ნაცვლად, მეორე-მესამე პრიზზიორები, შესაბამისად, 180-120-ს. „დიდ მუხარაზე" კი მაჩუქებელი 500, 300, 200 და ასე შემდეგ ქულით განისაზღვრება, მასტერსზე - 700, 420, 280, კონტინენტურ პირველობებზე - 400, 240, 160, მსოფლიოს წემპიონატზე - 900, 540, 360, ოლიმპიადაზე - 1000, 600 და 400. აქვე გეტყვით, რომ წვენ მხოლოდ სპრიზო სამეულები ჩამოვთვალეთ, თორემ მონანილეებს გარკვეული ოდენობის ქულები უცილებლივ ყველა ტურნირზე დაერიცხებათ. უმეტეს შეჯიბრებებში მხოლოდ მონანილეობისთვისაც კი მიიღებენ მიზერულ შეფასებას.

ოლიმპიურ რეიტინგში 5 საუკეთესო ტურნირის შედეგი შეეკა, ოლონდ აქ იმიტომდება 5+1 ფორმულით. ეს იმ შემთხვევისთვის, როცა რამდენიმე მონანილე თანაბარ ქულას დააგროვებს. ამ შემთხვევაში მეექვსე დამატებითი შეჯიბრება მასტერსი ან კონტინენტური ტურნირი იქნება.

გადავლება აძტიურდება

სერიოზული ცვლილებებია საშეჯიბრო წესებშიც. წვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი ისაა, რომ ამიერიდან გადავლება, თუ მას მყისვე, კომბინაციაში ილეთიც არ მიჰყვა, გაყრთხილებით დაისჯება. არადა, ამ ხერხს ხშირად იყენებდა **ვალერი ლიპარტელიანი**, ხოლო **ირაკლი ცირეკიძისთვის** (ბევრი უცხოელის გახსენებაც შეიძლება) სულაც საფირმო მანვერი იყო. ეხლაია, ამ სტილის მოყვარულთ სასჩრაფოდ მოუწევთ ახალ მეთოდზე გადაწყობა. ასევე გაფრთხილებით დაისჯება ქამარზე ჩაელების დროს, თუ მას სწორადვე არ მიპყვება გდება; დაისჯება ჩაელების ორი ხელით გამყვანება, თუმცა ამთვის ზოგი წესი აქამდეც მოქმედებდა... აქ ჩვენი ახალგაზრდა ტალანტი **ბექა ღვინიაშვილიც** უნდა გაეთვისებინათ, რომლის არსენალშიც ქამარში ჩაელებიდან ავყავნ ერთ-ერთი მთავარი კოზირია. მას ეს არც მომავალში აეკრძალება, ოღონდ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა გააქეთოს. თან ილეთის ცდილობად არც ის ჩაითვლება, ქამარში ჩაელებულმა მეტოქე წრეზე რომ აპყრა - ეს ფაულობაზეა. ამასთან, ამ მდგომარეობიდან გდება აუცილებლად ძიუდოს სტილიში უნდა გაეკეთებს „თავისუფალს" - შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელთან მსგავსების გამო არ ჩაუთვალეს ოლიმპიადაზე ის უნაკლო ილეთი **ბეთქილ შუკვანს** ფრანგ **სოფვინ მილოსთან**. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გადავეცნა იქნება მარცხენა აყოვნებად შეხედონის ტემპს, მაგრამ ქამრიდან აყვანა საკმაოდ ლამაზი ფანდია. მაშ, რატომ ცდილობს ძიუდოს სამყარო მას შეელოს? სამწი ისაა, რომ ეს არაა ძველისძველი, ავთენტური ძიუდო და ის, როგორც წელში შესული და ბევრი სხვა ილეთი, ნაცითნალური ან სხვა ჭიდაობებიდანაა შესული ძიუდოში. ახლა იქაურები იაპონელთა მეთაურობით ცდილობენ, ძიუდოს სწორედ ის პირვანდელი სახე დაუბრუნონ და ასეთი „შეპარული" ილეთებისგან განშორდნონ.

თუ დავაკვირდებით, ახლანდელი ცვლილებები მიმართულია სისწრაფის გაზრდის, დინამოურობისა და ილეთების, სანახაობის მომატებაზე, ხოლო რა იქნება რეალურ ცხოვრებაში, ენახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

შიდოს გედი...

ამიერიდან შიდო ქულით არ შეფასდება ანუ 3 შიდოს შემთხვევაში მეტოქე ქულას ვერ მიიღებს. გაფრთხილებას ის მნიშვნელობა ექნება, რომ მეოთხე შიდო კვლავაც დისკვალიფიკაციას ანუ შეხვედრიდან მოხსნას ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ქულას მოსაპოვებლად ძიუდოისტმა აუცილებლად უნდა შესრულოს გდება, სამმაოდ სხვა შანსი არ აქვს. თუ შეხედავ-ფრედ მთავრდება, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვისაც მეტი ტექნიკური ქულა ექნება. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, მაშინ ის იგება, ვისაც ნაკლები შიდო აღმოაჩნდება. თუ ესეც თანაბარია და მეხედავეები დამატებითი გაგრძელებება, ის კი პირველად ქულის ან გაფრთხილების შემთხვევაში შენყდება. ამასთან, დამატებითი დროის ხანგრძლივობა განსუაზღვრება, ეგრეთ წოდებულ, პანტები გაუქმებულია ანუ მსაჯები აღარ გამოაცენენ მოგებულს.

შიდოს ახლებურ ვერსიას იქნებ ერთი ნაკლი ახლავე ეუსროთ. როგორც ვხედავთ, ერთი იუკო ჯობნის სამ შიდოს ანუ თუ რომელიმე მეტოქე შეხვედრის მინუტრულს მოიპოვებს იუკოს, მერე შეიძლება, უბრალოდ ირბინოს ტატამეზე და თამამად მიიღოს სამი გაფრთხილება, რაც ძიუდოს სანახაობრიობას აუცილებლად დაუკარგავს. დავეეთანხმებით, ქულათა დიდი ნაწილი ორთაბრძოლის ბოლოს ეკუთვნა, დრო კი იმდენად ცოტა იყოს დარჩენილი, ოთხი შიდო, უბრალოდ, ვერ მოესწროს. არადა, როგორც ზემოთ გითხრით, ოთხ შიდოსთვის ეს თუ გადაწონის.

მციარდება არგიტრთა რაოდენობაც

ამიერიდან ტატამეზე მხოლოდ ერთი რეფერი იქნება, მეორე კი ვიდეო კონტროლით და კვედება, ხოლო ერთმანეთთან კავშირი ყურსასმენით უნდება.

როგორც გითხრით, ახალი წესების გამოცდა ჰარიზიდან დაიწყება ანუ 2-3 თებერვალს თბილისში გასამართავი კონტინენტური თასი კვლავ ძველი წესებით ჩატარდება. თუმცა ეს ჩვენს ძიუდოისტებს (როგორც - სხვებს) დამშვიდების უფლებას არ აძლევს - მათ ნებისმიერ შემთხვევაში მეგრად აქტიურად უნდა იბრძოლონ ახალ სტილზე გადასასვლელად. თუ ეს წესები ასეც დარჩა, მაშინ ძიუდო მეგრძნით უფრო ძალისმიერი გახდება, კიდევ უფრო გაიზრდება ჩაელების როლი, ეს კომპონენტები კი ჩვენთვის „ანელეყის ჭუსლია".

ირაკლი თავხელიძე

ბოგბურთი



მეტრეველმა გუნდი დააკომპლექტა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მონაწილენი. ფედერაციის ახალი პრეზიდენტმა **ალექსანდრე მეტრეველმა**-უმცროსმა ვიცე-პრეზიდენტების (**ლევან რაზმაძე, გიორგი ტყემალაძე, ნიკა კიკნაველიძე**), გენერალური მდივნის (**ზურაბ ქაცარავა**) და გამგეობის წევრების (ალექსანდრე მეტრეველი-უმცროსი, ლევან რაზმაძე, გიორგი ტყემალაძე, ნიკა კიკნაველიძე, ზურაბ ქაცარავა, ლალი ზერკვიძე, ალექსანდრე მეტრეველი-უფროსი, ლეილა მესხი, გურამ თოხაძე, ირაკლი ლაბაძე, ვლადიმერ გაბრიჩიძე, ბორჩან შელია, რევაზ ოსაძე, თორნიკე კიკნაველიძე, ვლადიმერ ასათიანი, მიხეილ ბუთხუზი, მარინე მალაციძე, კონსტანტინე კორძახია, გუგუა პეტრიაშვილი, ირაკლი მემრეველი, ბესიკ ჭიტრიძე, ვლადიმერ გოგლიძე, ირინა გერაძე) კანდიდატურები დაასახელა, რომელებაც დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ვაჟა დანელია

ქრონიკა

ჭადრაკის ელიტა დღეს ერთად იკრიბება

ჭადრაკის ელიტა თავს პეკინში მოიყრის

უკვე გაუწყეთ, რომ ჩინეთის დედაქალაქი ინტელექტუალურ თამაშებს მასპინძლობს. მის პროგრამაში შედის ჭადრაკიც. რაპიდში, ბლიცსა და დაფაზე დაუხედავად თამაშში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები იასპარეზებენ, საერთო ადგილებს 16-16 ქალ-ვაჟი შეეცილება ერთმანეთს.

მანდილოსნებში **ბეჟა ხოტენაშვილი** (2504) მეტოქეობას გაუწევს ჩინელ ორგზის მსოფლიოს წემპიონ ჰოუ იფანს (2606), მის თანამემამულე ჟაო სიუს (2565), ანა მუზიჩუკს (სლოვენია, 2586), ინდოელებს - ჰამპი კონერუს (2610) და ჰარიკა დრონავალის (2512), ორგზის ევროპის წემპიონ კატერინა ლაგნოს (უკრაინა, 2553), ანა ზატონსკიხს (აშშ, 2489), მსოფლიოს და ევროპის წემპიონს ანტონიტა სტეფანოვას (ბულგარეთი, 2491), ელინაბაღებ პეტკს (გერმანია, 2482), მსოფიოს წემპიონ ჟუ ჩენს (ყატარი, 2491), ორგზის ეროპის წემპიონ პია კრამლინგს (შვედეთი, 2516), მონაკო სოჩკოს (პოლონეთი, 2445), ელინა დანიელიანს (სომხეთი, 2476), მსოფლიოს და ევროპის წემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკ (რუსეთი, 2501).

ქართველთაგან ვაეებში ევროპის ორგზის პრიზიორი და რაპიდში კონტინენტის წემპიონი **ბაადურ ჯობავა** (2711) ითამაშებს. მასთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: მსოფლიოს რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი და ბლიცში მსოფლიოს ექსჩემპიონი ლევონ არონიანი (სომხეთი, 2815), აზერბაიჯანელები - თეიმურ რაჯაბოვი (2793) და შახრიარ მამედიაროვი (2764), რუსები - რაპიდში 2012 წლის მსოფლიოს წემპიონი სერგეი კარიაკინი (2775), ბლიცში წლევანდელი მსოფლიოს წემპიონი ალექსანდრ გრიშუკი (2764), ალექსანდრ მოროზევიჩი (2748), ამერიკელები - გაბა კამსკი (2762), ჰიკარუ ნაკამურა (2760), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2766), მსოფლიოს წემპიონი ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2732), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა, 2681), ჩინელები - ვან ჰაო (2737), დინ ლიჟენ (2702), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2720). რეიტინგებიდანაა ნათლად ჩანს, რომ ჩინეთის დედაქალაქში უმეტესათ პაექრობები ბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ 14-15 დეკემბერს რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი), 16-17 დეკემბერს ბლიცსა და 18-19 დეკემბერს დაფაზე დაუხედავად გაიმართება პაექრობები.

შარშან წინეთში მსგავს თამაშებზე გამოდიოდა 2008 წლის მსოფლიო სატყდრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (მას ამ დღეებში შეილი შეეძინა - ვულოვიჟის), რომელმაც რაპიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველ-მეორე ადგილებზე ალექსანდრა კოსტენიუკი და ტატიანა ლაგნო გავიდნენ. ვაიტანთ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვან ჰაო. 2. ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი), 3. ბაკა კამსკი. ქალებში ბლიცი და დაფაზე დაუხედავად თამაში ჰოუ იფანმა მოიგო, მამაკაცებში პირველ ადგილებზე მაქსიმ ვაშიე-ლაგრაეი (საფრანგეთი, ბლიცი) და ზოლტან ალმაში (უნგრეთი, დაფაზე დაუხედავად) გავიდნენ.

ვაჟა დანელია

საქართველოს სპორტის სანწყინოს სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტული მედიცინის ღვანლმოსილი მუშაკი, მრავალი ლიტრის განმავლობაში თბილისის "დინამოს" ოსტატურ წყალბურთელთა და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდების უცვლელი ექიმი,

ლონაკო პეტრიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფოტორეპორტაჟი

დღეს წარმოგიდგენთ 1954 წელს გადაღებულ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ხალეანი მოჭიდავეები - ფალავანთა დიდი ოჯახი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, თავისუფალი ჭიდაობის ოსტატები იყვნენ თუ „ლასაიკოსები", ეს სამმო ურთიერთთანადგომითა და დიდი მეგობრული სულისკვეთებით გამოირჩეოდა. ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედს წლების განმავლობაში უდიდესი გამარჯვებები მოჰქონდა იმდროინდელი საბჭოთა კავშირისთვის, რაშიაც ძალიან დიდი იყო ქართველ ფალავანთა წვლილი. ფალავანთა დაახლოებითაა და თანადგომას ხელს უწყობდა ერთობლივი შეკრებები, რომლებიც ზოგჯერ თვეობით გრძელდებოდა და, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მხარდამხარ მონაწილეობა.

მარცხნიდან: ირიგში - სერგეი კაშენი, არამ ხალტერიანი, მირიან ცალქალაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, იგორ კარავაევი, სერგო გაბარაევი, ვალერიან გიგიაძე და ოთარ კანდელაკი; II რიგში - არსენ მეცოკიშვილი, ვახტანგ ბალავაძე, ავგუსტ ენგელსი, მუხტარ დადაშევი, გიგი კარტოზია, ალექსანდრე რუმოდა და ევგენი რუნგე.

გურამ საღარაძე

მსოფლიოს ორგზის წემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

ამხანაგური მატჩი

მორაგბეები ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ

„შეეარჯნის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და ქართველმა მორაგბეებმა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ამხანაგური მატჩი გამართეს, რითაც მხარდაჭერას უცხადებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კამპანიას „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!"

მატჩის საუკეთესო მოთამაშე იოჰან ალქსანდერი

მილტონ ჰეიგი სამახსოვრო ატმოსფეროს ტოვებს

„დაუშეებელია ძალადობა ქალთა და გოგონათა მიმართ. ჩვენ, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მოუწოდებთ რაგბის ყველა გულშემატკივარს და ზოგადად მამაკაცებს, რომ არასოდეს ჩაიდინონ და არც სხვისგან დაუშვან ძალადობა. ეს პრობლემა ჩვმს ქვეყანაშიც არსებობს. ჩემთვის ქალთა მიმართ ძალადობის თემა მით უფრო საყურადღებოა, რომ მყავს ცოლი და ორი ქალიშვილი" - თქვა ნამატჩევს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა**, რომელმაც თამაშში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ქართული გუნდი ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: **მილტონ ჰეიგი, ნონო ანდღულაძე, ლადო კილასონია, ლექსო გუგავა, ბიძინა სამხარაძე, თენგო ცისკარიშვილი, ზურაბ ამონაშვილი, ზურაბ შენგელია, გიორგი ჯობურიძე, გიორგი ჭიჭინაძე, ბაჩო სანაძე, ძვიად ჯღია, მამუკა ნინიძე, მიხეილ ბარაბაძე, ლადო ხუჯაძე.**

დიპლომატური კორპუსი ასე გამოკურებიდა: **იოჰან ალექსანდერი, ჯეკ ფრიდი, ტომას აარონი, დორიან მიჩელი, რობინ სეიფული, ენტონი ფორენი, ადრიან რესი, ალექსანდრ ლინენი, მატეას ჰუნცერი** (ყველა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია), **რისტო როისი** (ესტონეთის საელჩო), **მარკო ნანნბაალი** (ფინეთის საელჩო), **იან ვუდი** (ნიდაია), **მარკ ვან ემმოლდენი** (ნიდერლანდების საელჩო), **დევიდ პედვეი** (დიდი ბრიტანეთის საელჩო).

მატჩის პირველი ტაიმი, რომელიც მემოკლებულ მოედანზე გაიმართა, ქართული გუნდის უპირატესობით ნარიმართა. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქეს 25:0 მოუგეს, შესვენებისას გადასვლა შერეული შემადგენლობით ეთამაშათ. ამან ბრძოლა მოედანზე უფრო გაამძაფრა და თამაშიც ბევრად უკეთესი გამოვიდა. შესაბამისად მეორე ტაიმი ფრედ 15:15 დასრულდა.

გაეროს გენერალური მდივნის კამპანიის „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დანესებულია საუკეთესო მოთამაშის ჯილდო მატჩის დასასრულს მილტონ ჰეიგმა **იოჰან ალექსანდერს** გადასცა, რომელიც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელია.

მატჩს დაესწრნენ შვედეთის სამეფოს ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება **დინა იანსუ**, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები.

ბესიკ ჯანგავაძე

სასკოლო ლიგა

საჯარო სკოლებში პირველი ჟუთასისა

„შეეარჯნის სანაკრებო ბაზაზე" გაიმართა საქართველოს სასკოლო ლიგის ფინალური ტურნირი ლენტებიან რაგბიში 1998-99 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 6 რეგიონის თორმეტმა გუნდმა, რომლებიც ორ ქვეჯგუფად განაწილდნენ. წრიული სისტემით გამოვლინდა 2-2 საუკეთესო გუნდი, რომლებმაც პლეი ოფში გაითამაშეს საპრიზო ადგილები.

საუკეთესო ოთხეულში იმერეთის სამი და თბილისის ერთი სკოლის გუნდები გავიდნენ. ნახევარფინალში იმერჯგუფ ქუთაისის მე-10 და 24-ე სკოლების გუნდებმა, რომლებმაც შესაბამისად თბილისის 180-ე და ვაჩის რაიონის შუამთის საჯარო სკოლის გუნდები დამარცხეს, ერთნაირი ანგარიშით - 5:4.

მცირე ფინალში 180-ე სკოლელებმა ვაჩელი თანატოლები დაამარცხეს - 5:3 და მესამე ადგილი დაიკავეს. ხოლო ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეორედ ქუთაისის მე-10 სკოლის გუნდმა მოიპოვა (მწვრთნელები: **დავით გორდულაძე** და **მალხაზ ჩხებიანი**), რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში 5:3 სძლია თანაქალაქელ 24-ე სკოლის გუნდს.

ტურნირის გამარჯვებულს რაგბის კავშირის მიერ დანესებული თასი გადაეცა, გარდა ამისა, ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სამახსოვრო სიგელით, ხოლო საუკეთესო მელილეოვსა და საუკეთესო მოთამაშისათვის დანესებული სპეციალური პრიზები, შესაბამისად, ვანელ **გიორგი ოცხიკიძესა** და თბილისის 180-ე სკოლის კაპიტანს **გელა აფრასიძეს** ერგოთ.

რაგბის კავშირის პრესსამსახური

შესაძლო მეტოქეები

ყველაზე დიდი სარაგბო ერი

ახლახან 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ტურნირში 20 გუნდი ითამაშებს. ამათგან ცნობილია მხოლოდ თორმეტის ვინაობა. დანარჩენ რვას კი კონტინენტებიდან შესარჩევი ტურნირები გამოავლენენ.

ნილისყრამ ისე ინება, რომ საქართველოს ნაკრები ერთი თასის ორნლიანი ციკლის შემდეგ შესაძლოა A, C ან D ჯგუფში მოხვდნენ. აქედან C ჯგუფი იმ შემთხვევაში გვერგება, თუ შესარჩევ ტურნირში პირველ ადგილს დავიკავებთ, ამიტომ სჯი ვარიანტი არც განიხილება. აქ კი მეტოქეებად ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგასა და აფრიკის კონტინენტზე შესარჩევ ეტაპზე გამარჯვებულები დანყვილდებიან.

ვფიქრობთ, სინხტრსო იქნება, თუ „ბორჯღალონების" მომავალ მეტოქეებს უფრო ახლოს გავიცნობთ. დავიწყოთ მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრებით.

„ოლ ბლექსმა" მსოფლიოს თასი პირველად პირველივე გათამაშებაში, 1987 წელს მოიგო. მას შემდეგ მიღწეულის გამამეორებლად ახალ ზელანდიელებს 24 წელინადი დასჭირდათ. აღსანიშნავია, რომ პლანეტის საუკეთესო გუნდის ნოდება მათ ორივეჯერ სამშობლოში გამართულ ტურნირზე მოიპოვეს.

შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ტურნირის გმირი მგეზავები (№10) მეოთხე ნომრად მიჩნეული **სტივენ დონალდი** გახდებოდა. **დენ კარტერი, კოლინ სლედი** და **აარონ კრედნი** ერთმანეთის მიყოლებით დამბადებენ. გუნდის ბაძოლა დონალდს დავეალა და მანაც მისიას თავი შესანიშნავად გაართვა.

მას შემდეგ, რაც „ოლ ბლექსმა" ფინალში საფრანგეთის ნაკრებს დიდი გაჭირვებით სძლია - 8:7, მთელმა ახალმა ზელანდიამ შვებით ამოისუნთქა. 24 წლის წინათ მათი საუკეთესო მორაგბეები მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. ძლიერები, სწრაფები, ზორბები, უფრო პროფესიონალებად ჩანდნენ, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენნი. მათ ახალი სიტყვა თქვეს მსოფლიოს რაგბიში და სრულიად განსხვავებული, ძალიან ლამაზი სათამაშო სტილით ბევრად უფრო მიმზიდველი და სანახაობრივი გახდეს ის.

1991 წელს ახალი ზელანდიის ნაკრებს მსოფლიოს თასის მოპოვების შანსი მეზობელმა ავსტრალიის ნაკრებმა მოუსპო. „ოლ ბლექსმა" იმ ტურნირზე ბედსანიშნავად ისპარეზეს და „ვებ ელისის" თასი დამსახურებულად ირგუნეს.

ოთხ წლის შემდეგ კი „ოლ ბლექსს" პირველი ადგილის დაკავებაში ხელი მსოფლიოს რაგბის ოჯახში დაბრუნებულმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა შეუშალა. „ბოკემ" შინაურ კედლებში მეტოქე ფინალში დაამარცხა და ახალზელანდიელები ისევ განბილებულნი დარჩნენ. თასის იმ გათამაშებაში გამოჩნდა მსოფლიოს რაგბის ლეგენდა **ჯონს ლომუ**, რომლის თამაშმაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რადიკალურად შეცვალა რაგბის აღქმა და მისი განვითარების კურსი.

აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე რეკორდული სხვაობით მოიგო იაპონიის ეროვნულ გუნდს - 145:17. ეს მაშინ, როცა მატჩში ჯონს ლომუს არ უთამაშია.

1999 წელს გზა ფინალისკენ „ოლ ბლექსს" საფრანგეთის ნაკრებმა მოუკრა. „ვებ ელისი" კი „ვოლაბებს" დარჩათ. ახალ ზელანდიელები მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში ავსტრალიას მეორედ 2003 წელს შეხვდნენ. „ვოლაბებმა" ამჯერადაც იყოფლეს, მეტოქეს 22:10 მოუგეს, თუმცა მერე ფინალში ინგლისის ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ.

2007 წელს „ოლ ბლექსმა" კიდევ ერთხელ გაალინა ნახევარფინალში და ამჯერად კარდიფში, „მილენიუმზე" „ლე ბლოსთან" ნააგო - 18:20. მაშინ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გრეგ ჰენრი** უმძლავრესი წნეხის ქვეშ მოექცა, თითქმის ყველა მის გადაადგომას ითხოვდა, თუმცა გაუძლო და დაიფიცა, რომ მსოფლიოს თასს აუცილებლად მოიპოვებდა. 2011 წელს ეს შეძლო კიდეც და გადადგა.

რეკორდსმენები

ახალზელანდიელმა **გრანტ ფოქსმა** 1987 წლის მსოფლიოს თასზე 126 ქულა დააგროვა. ცხრა ნომრიმა **საიმონ კალენმა** ამავე ტურნირზე იაპონიის ნაკრებთან მატჩში გუნდს 45 ქულა მოუტანა. გარემარმა **მარკ ელისმა** კი იმავე მატჩში ექვსი ლელო მიითვალა. ეს მიღწევები დღემდე არ გაუმჯობესებულა.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ჩემპიონატი

გაგრა-ლელო 8:38

საბურანრო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლელო	12	11	0	1	+207	52
2. ვარკეთი	12	11	0	1	+136	50
3. ბია	12	8	1	3	+158	40
4. ბაგვაზი	11	8	0	3	+41	34
5. ლოკომოტივი	12	5	1	6	+22	27
6. ჯიხეთი	12	5	0	7	-12	25
7. ხარები	11	3	0	8	-102	15
8. ბაბილი	12	3	0	9	-104	14
9. აბაზდეი	12	3	0	9	-209	14
10. ცოცხი	12	1	0	11	-135	7

15 დეკემბერი

ხარები-არგაზი

სუპერლიგა 2012-13. საუკეთესონი

მთავარია რწმენა

გევრი ვერ ხვდება, როგორ შეიძლება თავი გასწირო და ტრავმირებულმა ითამაშო

ნეინი ბოუი

გრილდრის სუპერლიგაში არაერთი ლეგიონერი ვიხილეთ. ყველა ინდივიდუალურად განსხვავებულია. ზოგს ისეთი ფიზიკური მონაცემები აქვს, იტყვი - სწორედ ამ პოზიციაზე სათამაშოდაა დაბადებული. მაგალითად არმიელი **მარკუს ფეისონი** უმაღლესი დონის მსროლელისთვის საჭირო ბევრ პირობას აკმაყოფილებს. ამიტომაც ითამაშა ევროლიგის გუნდებში, ახლა კი კარიერის დაღმავალ ეტაპზე საქართველოში ცდილა ძალებს.

„რუსთავში" თამაშობს საკალათბურთო თვალსაზრისით ტანდაბალი (182 სმ) ახალგაზრდა, რომელსაც ფეისონისგან საპრინციპო ფიზიკური მონაცემები ხელს არ უწყობს ევროლიგის დონემდე მიღწევაში. **ნეინ ბოუის** ტრამპლასის ევროპულ ჩემპიონატში არც უთამაშია, მაგრამ დაკვირვებული მაყურებელი პირველივე მატჩში შეამჩნევდა მონდომებას, რომლითაც ივი ყველა ლეგიონერს აღემატება. სწორედ მონდომებისა და კალათბურთის სიყვარულის ხარჯზე მიაღწია მიზანს და ისეთი შთაბეჭდილება ჩრჩება, რომ საკუთარი მონაცემებიდან მაქსიმუმს წურავს. არადა, რამდენი კალათბურთელია, რომელსაც კარიერა ისე დასრულებია, შესაძლებლობები სანაბეჭდოდაც ვერ გამოუცლიათ.

მოინდომა და უკვე მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონატის ტურის საუკეთესო კალათბურთელი. არადა, სულ 8 ტურია განხულილი. ნეინ ბოუის ნინამძღოლები „რუსთავმა" ჯერ ტუთაისში გაიმარჯვეს, ბოლოს, შინ „არმია" დამარცხა. არადა, იმერეთში მნვრნელი მის დასვენებას აპირებდა, რადგან ტრავმა ჰქონდა.

„ფეხდებოდი, რომ გუნდს ვჭირდებოდი. თუ ნამდვილი კალათბურთელი ხარ, ყველაფერის მოუხდავად უნდა ითამაშო. მაგალითისაც მოვიყვან - 1970 წელს, NBA-ს ფინალური სერიის გადამწყვეტი, მეშვიდე მატჩის წინ ნიუიორკელმა უილის რიდმა კუნთი გაინცვიტა, მაგრამ მთიც ითამაშა. ითამაშა და უოლტ ჩემბერლენის „ლეიკერსი" დაამარცხა. ასე მოიპოვა „ნიუ იორკმა" პირველი ჩემპიონობა. არადა, ბევრი ვერ ხვდება, ასე რატომ უნდა გასწირო თავი, რადგან ისინი მყუდრო ცხოვრებას არიან მიჩვეულნი."

„არმიასთან" მატჩამდე ნეინ ბოუის ზედიზედ ოთხი ტურის განმავლობაში სამჭყლიანი არ ჰქონდა ჩაგდებული, რაც გამოამაშებლისთვის არცთუ კარგი შედეგია. თუმცა ჩემპიონებთან მან 7-დან 5 სამიანი გამოიყენა და სეზონის რეკორდი გაიმეორა - 31 ქულა ჩააგდო. ამიტომაც დავასახელეთ ტურის მოთამაშედ.

საიტ „ევროლიგის" ბლოგში პოუმ სიტყვა „გამამარჯვებლის" ერთი აბზაცი მოუძღვნა:

*„ყურთხლეობ **დანიელ უაითის** ნიგნს სახელწოდებით „ნერილები ახალგაზრდა შავკაცს". ნანარმოებში ასეთი მინაწერის ფრაზა - „გამამარჯვებულები ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან, ნაგებულებს კი სიტყვის სათქმელად მოცდა უწევთ. მაგრამ მათი დროც მოვა." ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების გზა აქვს, თუმცა რწმენა და დავჟინება იმისა, ამ თუ იმ საქმის კეთება ნამდვილად შეგეძლოს, ყველას გვაერთიანებს."*

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

11 დეკემბერი

დინამო-ოლიმპი 72:68

24:22, 21:16, 16:18, 11:12

დინამო: ამირხანაშვილი (2ქ), ლილუაშვილი (28ქ, 5ბ), ჩოჩუა, მესხი (3ქ, 5ბ, 5ბ), ორმოცაძე (5ქ), დოლიძე (4ქ, 5ბ), გელაზონია (11ქ, 14ბ), ლეფურთელური (19ქ), გაბისონია (4ბ).

ოლიმპი: გ. ბაქრაძე, ნაფირაძე (9ქ, 6ბ), ბრაგვიძე, იაშვილი (4ქ), გოგოძე (17ქ, 4ბ, 4ჩ), იაკობიძე (14ქ), ცირკუაძე (5ქ, 8ბ), აბუსალე (17ქ, 8ბ, 4ბ, 4ჩ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (2ქ).

შს აკადემია-სოხუმი 71:61

14:19, 21:18, 23:14, 13:10

შს აკადემია: მეგრელიძე (5ქ), როგავა (22ქ, 9ბ, 7ჩ), გორდულაძე (4ქ), ფორფოლიანი, ლილუაშვილი (15ქ, 8ბ), ხეთაგური, ქენჭოშვილი (3ქ), პაულუზაშვილი (18ქ, 9ბ, 3ც), არუთინოვი (4ქ).

სოხუმი: მეგენეიშვილი (9ქ), გაფრინდაშვილი (11ქ, 5ბ), ძიძიგური (8ქ), ტყაბლაძე, თონიაშვილი (2ქ), გოლეთიანი (3ბ), კვანტალიანი (14ქ, 17ჩ, 4ბ, 3ც), მოკრიქლიანი (6ქ, 4ბ), ბუღიანი (11ქ, 8ბ).

ვიენდალი-რუსთავი 91:65

25:20, 19:13, 31:12, 16:20

ჰიუნდაი: ხანაძე (22ქ, 6ბ), ტომარაძე (12ქ), ლომიძე (4ქ, 6ბ), ზაქარაძე (23ქ, 8ბ, 3ც, 5ჩ), გიორგაძე (9ქ, 6ბ), სალაყაია (2ქ), კოტატვა, ბუთხუზი (10ქ, 8ბ, 3ც), მაჭარიანი (9ქ, 9ბ, 3ც, 3ჩ).

რუსთავი: ლორთქიფანიძე (3ქ), ტატიაშვილი (7ქ, 5ბ), ოქროპილაძე (6ქ), არაბული (4ქ, 7ბ), ურიდია (10ქ, 9ბ), ნარომანიშვილი (7ქ, 9ბ), გოგობერიშვილი, გაგნიძე (9ქ), ტაბატაძე (8ქ), ხაგბაშვილი (7ქ), ბარამიძე (2ქ), ჯავახიძე (2ქ).

გუნდი	თ	მ	წ	სჩ	ქ
1. ოლიმპი	8	7	1	586/454	15
2. შს აკადემია	8	6	2	519/483	14
3. სოხუმი	8	5	3	563/553	13
4. რუსთავი	8	2	6	596/632	10
5. ვიენდალი	8	2	6	548/635	10
6. დინამო	8	2	6	532/587	10

გევრი ვოპაზას ვაჟა სიმონიშვილს

ჭიდაობური

ქართული ნაკრები

15 დეკემბერი

არმია 14:00
თსსუ სტე 16:00
სოხუმი თსუ 18:00

www.facebook.com/GeoBasketball
www.gbf.ge
www.superleague.ge

VIII ტური

სტუ-გათუში	60:82
შს აკადემია-ოლიმპი	62:71
დინამო-სოხუმი	81:77
რუსთავი-არმია	79:77
თსუ-სამედიცინო	84:53

რეკორდები

ქულა

31 - რინარდ მაითიაშვილი (ქუთაისი)
2-ქულ 6/14; 3-ქულ 4/6; საჯ 7/8
24.11.12 ოლიმპი-ქუთაისი

31 - ნეინ ბოუი (რუსთავი)
2-ქულ 6/11; 3-ქულ 5/7; საჯ 4/10
07.12.12 რუსთავი-არმია

31 - ქენჯ ქარტერი (დინამო)
2-ქულ 12/18; 3-ქულ 1/3; საჯ 4/4
08.12.12 დინამო-სოხუმი

მოხსნა

18 - სტეფან მილოშევიჩი (ოლიმპი)
(მეტოქე: 10; საკუთ: 8)
08.12.12 შს აკადემია-ოლიმპი

პასი

12 - დეონტა ვოჩი (შს აკადემია)
03.11.12 შს-თსუ

ჩაჭრა

7 - დეონტა ვოჩი (შს აკადემია)
17.11.12 სტუ-შს აკადემია

დაფარება

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

ქულა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ
1	ირაკლი ჩხეიძე	სოხუმი	7	150	21.43
2	ჯერარ ალბრაიტი	შს აკადემია	6	119	19.83
3	ნეინი ბოუი	რუსთავი	8	156	19.5
4	რინარდ მაითიაშვილი	ქუთაისი	7	128	18.29
5	ლაშა კაჭარავა	დინამო	7	123	17.57
6	ლევან ფაღავა	ოლიმპი	7	106	15.14
7	გიორგი ნანიტაშვილი	ბათუმი-ჩაკ	8	120	15
8	სტეფან მილოშევიჩი	ოლიმპი	7	104	14.86
9	კაჯენ ნილსენი	რუსთავი	8	118	14.75
10	ვახტანგ ქაბარა	სოხუმი	7	102	14.57
11	მილან ოლუიჩი	დინამო	4	58	14.5
12	ლაშა კობლიაშვილი	ბათუმი-ჩაკ	8	112	14
13	გიორგი პირველაშვილი	სტე	5	70	14

მოხსნა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	მ.დჯ	მ.შეტ	მ.საშ	მ.საშ
1	სტეფან მილოშევიჩი	ოლიმპი	7	39	52	91	13
2	ჯერარ ალბრაიტი	შს აკადემია	6	32	44	76	12.67
3	ვახტანგ ქაბარა	სოხუმი	7	24	59	83	11.86
4	რინარდ მაითიაშვილი	ქუთაისი	7	14	65	79	11.29
5	ლაშა კობლიაშვილი	ბათუმი-ჩაკ	8	19	65	84	10.5
6	მილან ოლუიჩი	დინამო	4	15	25	40	10
7	სარით ასანოვი	თსუ	7	17	47	64	9.14
8	კაჯენ ნილსენი	რუსთავი	8	20	43	63	7.88
9	გიორგი რევაზაშვილი	სამედიცინო	7	19	35	54	7.71
10	ჩარდ პრაიორი	შს აკადემია	7	14	39	53	7.57
11	დავით ჭილაური	არმია	6	6	38	44	7.33
12	ლოლითონ ტუპანი	რუსთავი	8	19	38	57	7.13

პასი

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	პ	პ.საშ
1	დეონტა ვოჩი	შს აკადემია	6	51	8.5
2	სტეფ სტრი	ოლიმპი	7	49	7
3	გიორგი გვანცელიძე	არმია	6	36	6
4	ზაურ ფაქიანი	ქუთაისი	7	37	5.29
5	ლაშარ კარიძი	დინამო	7	36	5.14
6	გიორგი გაფრინდაშვილი	სამედიცინო	7	34	4.86
7	ირაკლი ლეტავა	დინამო	6	28	4.67
8	გიგი გაგნაძე	თსუ	8	35	4.38
9	ნეინი ბოუი	რუსთავი	8	31	3.88
10	ვახტანგ ჩხარტიშვილი	თსუ	8	30	3.75
11	რატი ბაბაკიშვილი	სოხუმი	7	26	3.71

ჩაჭრა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	ჩ.საშ
1	დეონტა ვოჩი	შს აკადემია	6	18	3
2	ნეინი ბოუი	რუსთავი	8	23	2.88
3	კუინტის ჭილეჟი	არმია	6	13	2.17
4	ნიკა რამენიელი	ბათუმი-ჩაკ	8	17	2.13
5	ირაკლი ქინქლაძე	სტე	6	12	2
6	ვასილ ბერულაშვილი	თსუ	5	10	2
7	მიხეილ ლორაშა	რუსთავი	7	14	2
8	ალან ფრანციშვილი	ოლიმპი	7	13	1.86
9	ზურა მასალაძე	სტე	7	12	1.71
10	რუსლან ნაზმიევი	სოხუმი	6	10	1.67

დაფარება

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	დ	დ.საშ
1	მილან ოლუიჩი	დინამო	4	15	3.75
2	რინარდ მაითიაშვილი	ქუთაისი	7	10	1.43
3	ვახტანგ ქაბარა	სოხუმი	7	9	1.29
4	სტეფან მილოშევიჩი	ოლიმპი	7	9	1.29
5	ირაკლი კოპაძე	თსუ	5	6	1.2

შეცდომა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	შ	შ.საშ
1	გიორგი გაფრინდაშვილი	სამედიცინო	7	32	4.57
2	ზაურ ფაქიანი	ქუთაისი	7	26	3.71
3	გიორგი ხანთაშვილი	თსუ	8	29	3.63
4	ირაკლი ლეტავა	სოხუმი	7	25	3.57
5	გიგი გაგნაძე	თსუ	8	28	3.5
6	ნიკა რამენიელი	ბათუმი-ჩაკ	8	27	3.38
7	გიორგი ხანთაშვილი	ბათუმი-ჩაკ	8	26	3.25
8	ვასილ ბერულაშვილი	თსუ	5	16	3.2

შენიშვნა: კალათბურთელი, რომელსაც მატჩების ნაბუქარი მაინც არა აქვს ჩატარებულ, სტატისტიკურ ლიდერებში ვერ ხვდება.

ჰაღათბურთი

● ახალგაზრდული წრილისყრა

2012 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. აღხანაიძე და ბურჯანაძე ეპიზანელია გარემოცვაში

ცხელი ზაფხულის მოლოდინში

საგოლოოდ გაირკვა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების თამაშების განრიგი. სამივე ასაკის გუნდზე ცალ-ცალკე, მოკლედ ვიტყვით...

20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე თამამებს. გუნდს ურთულესი ამოცანა ელნება გადასაწყვეტი. თითოეული კრებულის მიზანი ჯგუფში სამ საუკეთესოს შორის მოხვედრაა. მეტოქეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს გუნდს ძალიან გაუჭირდება მიზნის მიღწევა. თუმცა მთავარი ამოცანა მაინც ელიტაში ადგილის შენარჩუნება იქნება, რისთვისაც აუცილებელია ბოლო სამ ნაკრებს შორის არ მოვხედეთ.

A ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

9-21 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ, ᲑᲐᲠᲔᲨᲘ, ᲘᲚᲐᲭᲣᲐᲜᲘ

A ჯგუფი: საბერძნეთი, გერმანია, ლიტვა, სერბეთი, **საქართველო**.

B ჯგუფი: შვედეთი, უკრანა, ხორვატია, თურქეთი, ჩერნოგორია.

C ჯგუფი: ბულგარეთი, ლატვია, რუსეთი, ესპანეთი, ისრაელი.

D ჯგუფი: ჩეხეთი, სლოვენია, საფრანგეთი, იტალია, ესტონეთი.

A ჯგუფის ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

9 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

სერბეთი-ლიტვა
გერმანია-საქართველო

10 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

საბერძნეთი-სერბეთი
ლიტვა-გერმანია

11 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

საქართველო-ლიტვა
გერმანია-საბერძნეთი

12 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

სერბეთი-გერმანია
საქართველო-საბერძნეთი

13 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

ლიტვა-საბერძნეთი
საქართველო-სერბეთი

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

აქაც გერმანია. ასევე რთული ბრძოლები გველის აგსტრიასთან, ჰოლანდიასა და ესტონეთთან. მომდევნო ეტაპზე ორი გუნდი გავა და სხვა ჯგუფების გამორჩეულ გუნდებთან ერთად განაგრძობს პირველობისთვის ბრძოლას.

B ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

18-28 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ, ᲒᲐᲚᲘᲜᲘᲡᲘ

A ჯგუფი: პოლონეთი, უნგრეთი, დანია, ფინეთი, მაკედონია.

B ჯგუფი: გერმანია, ჰოლანდია, **საქართველო**, ესტონეთი, ავსტრია, ნორვეგია.

C ჯგუფი: ისრაელი, რუმინეთი, შვედეთი, შვეიცარია, სლოვაკეთი, შოტლანდია.

D ჯგუფი: ჩერნოგორია, პორტუგალია, ლუქსემბურგი, ბელგია, ბელარუსი.

B ჯგუფის ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

18 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

ავსტრია-პოლონეთი
საქართველო-ესტონეთი
ნორვეგია-გერმანია

19 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

გერმანია-ავსტრია
ესტონეთი-ნორვეგია
პოლონეთი-საქართველო

20 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

ესტონეთი-გერმანია
საქართველო-ავსტრია
ნორვეგია-პოლონეთი

21 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

საქართველო-გერმანია
პოლონეთი-ესტონეთი
ავსტრია-ნორვეგია

22 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ

პოლონეთი-გერმანია
საქართველო-ნორვეგია
ესტონეთი-ავსტრია

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

საქართველოს ნაკრებს ერთ კარგად ნაცნობი გუნდი შეხვდა, რომელსაც გასულ კვირას მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ეთამაშა - ბელარუსი. ამ ორი გუნდის გარდა ჯგუფიდან გამსვლელი ორი ადგილისთვის ბრძოლაში თანაბარი შანსი ექნებათ უნგრეთს, ჩეხეთსა და ავსტრიას. ევროპის ჩემპიონატის საბუთრისთვის ცხრილის ზედა ტეტრი ბრძოლებში ჩაებმებიან.

B ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

8-18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ, ᲑᲠᲘᲜᲡᲘ

A ჯგუფი: ნორვეგია, პორტუგალია, ფინეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, მაკედონია.

B ჯგუფი: ირლანდია, ინგლისი, შვეიცარია, სლოვენია, რუმინეთი.

C ჯგუფი: სლოვაკეთი, ჰოლანდია, დანია, ისრაელი, ბოსნია.

D ჯგუფი: ბელარუსი, უნგრეთი, **საქართველო**, ჩეხეთი, ლუქსემბურგი, ავსტრია.

D ჯგუფის ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ლუქსემბურგი-უნგრეთი
საქართველო-ჩეხეთი
ავსტრია-ბელარუსი

9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ბელარუსი-ლუქსემბურგი
ჩეხეთი-ავსტრია
უნგრეთი-საქართველო

10 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ჩეხეთი-ბელარუსი
საქართველო-ლუქსემბურგი
ავსტრია-უნგრეთი

11 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

საქართველო-ბელარუსი
უნგრეთი-ჩეხეთი
ლუქსემბურგი-ავსტრია

12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

უნგრეთი-ბელარუსი
საქართველო-ავსტრია
ჩეხეთი-ლუქსემბურგი

ვაჟა სიმონიშვილი

ოლიმპიური წლისწინაღამეს

ქართული სპორტის ისტორიაში ერთგვარ ბიბლიოთეკარს ემშვიდობება

სპორტი და ეკრანი

ჩოგანბურთი

„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა"... წერდა შოთა რუსთველი. სპორტული ინვენტარის ისეთი სახეობა, როგორიცაა ჩოგანი, ოდითგანვე ჩვენს ეროვნულ თამაშებთან არის დაკავშირებული. აკი ალბერეს და დახატეს კიდეც ჩოგანბურთელები უცხოელმა მოგზაურებმა და მხატვრებმა თავიანთ ნანარმოებებში. მარტო ფონ კრისტოფერო და კასტელის „ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ" რად ღირს!

ფერადი, ორნანრილიანი ფილმი „ჩოგანბურთი", მოგვითხრობს საქართველოში ამ სპორტული თამაშების განვითარებაზე.



სცენარის ავტორი და რეჟისორი: ო. არონიშვილი
ოპერატორი: ვ. ტატიშვილი
ფერადი 2 ნაწილი.
საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები
1987წელი.

„ლელო"-ში 40 წლის წინათ...

13 - 19 დეკემბერი, 1972 წ.

ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ „ᲚᲔᲚᲝ" ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ 1972 ᲬᲔᲚᲡ

13 დეკემბერი. „ლელოს" წესად ჰქონდა მეზობელი რესპუბლიკების სპორტული ცხოვრების ქარიგული მკითხველისთვის გაცნობა და სიახლეების განზოგადება, რაც ქართული სპორტის სპეციალისტებსაც კარგ დახმარებას უწევდა. 1972 წლის 13 დეკემბრის ნომერში „ლელო" თავის მკითხველებს მოუთხრობს სომხეთის სპორტულ ცხოვრებაზე.

14 დეკემბერი. სოხუმიდან გამოგზავნილ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ „აპარტკის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა აფხაზეთის სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა მესამე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ძირად-გუნდური ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ: დ. ქაშბაძე, ა. ბელქანია, რ. მაისურაძე, გ. მარხეგანელი, კ. ონანი, გ. გიორგიძე, რ. ჩოფლიანი და რ. ხუტაბა.

გუნდური ადგილები ასე განანილდა: 1. „კოლმეურნე", 2. შედგაოგიური ინსტიტუტი", 3. „დინამო".

15 დეკემბერი. ის დღე პარასკევი იყო და წესით „ლელო" არ უნდა გამოსულიყო, მაგრამ გამოვიდა. ისეთი განსაკუთრებული მოვლენა არაფერი მომხდარა, რომ მის აუცილებლობა ყოფილიყო. მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, ის უნდა ყოფილიყო, რომ წლის ბოლო ახლოვდებოდა, დღესასწაულებზე წლის განმავლობაში ნომრების არგამოსვლის გამო რაოდენობა მცირდებოდა და ხელმომწერი რომ არ დაზარალებულიყო, ჩამორჩენა წლის ბოლოს სწორდებოდა (იმ წლებში „ლელოს" თითოეული ნომრის ტირაჟი 265 ათასს აჭარბებდა).

16 დეკემბერი. წინა დღეს კალათბურთში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ხუთეულის მატჩები. თბილისში სპორტის სასახლეში ადგილობრივმა „დინამომ" მოსკოველ თანაკლასელებს უმასპინძლა. გაიმარჯვეს სტუმრებმა 76:72 (35:35).

17 დეკემბერი. „ლელო" სიხარულით აუწყებს მკითხველს, რომ ქ. ვრნანაჩკა-ბანიაში დასრულდა ევროპის ჩემპიონ ქვეყნების მოჭადრაკე ქალთა თასის IV გათამაშება და დასრულდა იგი ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით. ნონა ამ პრიზს მეორედ დაეუფლა.

18 დეკემბერი. „ლელოს" ამ დღის ნომერში კრონიკის ქარცეცხლშია გატარებული კრივი და მშვილდოსნობა. ჩვენმა მოკრივეებმა სრული ფიასკო განიცადეს ერევანში ! მეგობრული თამაშების ტურნირში, მშვილდოსნებმა კი თბილისში ქალაქების ნაკრები გუნდების შეჯიბრება გამართეს, რომელზედაც გუნდი არ მიაელინა ქუთაისმა, რისთვისაც ამ ქალაქის სპორტის მესვეურებმა გაუთეთს რისხვა დაიმსახურეს.

19 დეკემბერი. ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი მესამედ გახდა სახელოვან ავსტრალიის ჩემპიონი. როგორც გაზეთი იტყობინება ფინალური შეხვედრა სამ საათს გაგრძელებული და მეტრეველს 7:5, 5:7, 6:7, 7:6, 6:2 მოუგია.

პირველი, პირველმა, პირველად

პირველი საქართველოს სპორტსმენებიდან „თბილისის საპატიო მოქალაქედ" დასახელდა ლეგენდარული ფეხბურთელი **ბორის პაიჭაძე** 1988 წელს (წოდება მან მოიღუნებულია 1979 წლიდან).

■ ■ ■

პირველმა უკრაინის ძიუდოს ისტორიაში ამ ქვეყანას მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ქართული წარმოშობის **გიორგი ზანთარაიამ** მოუტანა.

■ ■ ■

პირველად თბილისის „დინამომ" საკრთაშორისო მაგრა საზეიმარგრეთ თეირანში ჩაატარა და ირანის ნაკრების ფეხბურთელთა გუნდს 5:1 მოუგო.

იუმორი

ნახატი ლელოს არქივიდან

13 - 19 დეკემბერი

13. 2008 წ. „ლელომ" რაგბიში საქართველოს თასის ფინალში „აკადემიას" 28:9 სძლია და ამ პრიზს მეოთხედ დაეუფლა

14. 1972 წ. დამტკიცდა ფეხბურთში თბილისის მსაჯთა საუკეთესო ათეული. მასში შევიდნენ (ანბანის მიხედვით): **ა. აბუსაშვილი, ო. ალავიძე, გ. დოლენჯაშვილი, მ. დუროვინი, ვ. ეგზიბია, ი. კანდელაკი, თ. ლაცაბაძე, ი. საფილანი, კ. სამეკლიშვილი, თ. ფანიაშვილი.**

15. 1922 წ. დაიბადა **თორნიკე სანგულაძე** - ტანვარჯიში. გარდაიცვალა 2007 წელს.

15. 1964 წ. დაიბადა **როსტომ თორლაშვილი** - ფეხბურთი.

15. 1984 წ. დაიბადა **დავით იმედაშვილი** - ფეხბურთი.

16. 1926 წ. დაიბადა **რევაზ მახარაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

16. 1949 წ. დაიბადა **ვახტანგ ქორიძე** - ფეხბურთი.

16. 1973 წ. დაიბადა **ზვიად ჯელაძე** - ფეხბურთი.

17. 1915 წ. დაიბადა **გრიგოლ გაგუა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2002 წელს.

17. 1936 წ. დაიბადა **მალვა კაკაბაძე** - ფეხბურთი.

17. 1981 წ. დაიბადა **ილია კანდელაკი** - ფეხბურთი.

18. 1927 წ. დაიბადა **ვლადიმერ ელოშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2009 წელს.

18. 1942 წ. დაიბადა **ჯონი რეხვიაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა. მწერინელი. გარდაიცვალა 2011 წელს.

19. 2002 წ. გარდაიცვალა **კოტე მახარაძე** - სპორტული კომენტატორი, მსაზიობი.

ვიქტორინა

1. რამდენი და რა სინჯის ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული თავისუფალ ჭიდაობაში ლუკა ჟურტანიძეს?

ა - ერთი ბრინჯაო
ბ - ვერცხლი და ბრინჯაო
გ - ორი ბრინჯაო

2. რომელ წელს გახდა ევროპის ჩემპიონი ძიუდოში დავით ქვეხიშვილი?

ა - 2000 წელს
ბ - 2002 წელს
გ - 2004 წელს

3. მსოფლიოს ჩემპიონატებში ყველაზე მეტი (15) ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოპოვებული აქვს:

ა - ნინო სალუქვაძეს (ტყვიის სროლა)
ბ - არჩილ ჩიხელს (საბერი)
გ - ირაკლი ბურჭინაძეს (მცურვითი)

4. რომელ წელს გახდა სუმოში მსოფლიოს ჩემპიონი ლევან ეგანაიძე?

ა - 1999 წელს
ბ - 2000 წელს
გ - 2002 წელს

5. საქართველოს მოჭადრაკეთაგან ვინ არის ევროპის პირველი ჩემპიონი?

ა - ქეთევან არახამია
ბ - ზურაბ აზმაიპარაშვილი
გ - გაიანე გოცირიძე

ვ - ე - ზ - ე - ბ - ა - ბ - ა - ბ - ა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ჯობი ბრაიანტი

რა ხდება ლეიკერსში?

ლოს-ანჯელესელი ლეიკერსის" ლეგენდამ **მეჯიქ ჯონსონმა** ჟურნალისტებს აზრი გაუზიარა კალიფორნიული გუნდის ამჟამინდელი თამაშის შესახებ.

"ეს არ არის "ლეიკერსის" კალათბურთი. დ'ანტონის ტაქტიკა სწორი არ არის ამ გუნდისთვის და თუ ის არ შეიცვლება, მაიკი არასწორი მწვრთნელი იქნება "ლეიკერსისთვის". ჩვენ არ გვყავს სწრაფი მოთამაშეები – გადაბედდეთ შემადგენლობას. ეჭვგარეშეა, რომ თამაშში გარკვეული მომენტები სტივ ნეშის გამოჩენის შემდეგ შეიცვლება, მაგრამ მისი დაბრუნება არ გვიშველის დაცვაში თამაშის მხრივ.

თუ სამწვრთნელო შტაბსა და მოთამაშეებს სურთ აღადგინონ "შოუთაიმი", ისინი უნდა მიხედნენ, რომ "შოუთაიმი" დაცვიდან იწყება. მისი სანყისი, პირველ რიგში, დაცვაში თამაშია. ჩვენ ვიცით, რომ თუ ვინმეს შეჩერებას ვერ შეძლებდით, მაშინ ვერ მოვახერხებდით შეტევაში სწრაფად გადასვლას.

კალათბურთელებმა უნდა გააუმჯობესონ თამაში. მათ ბედნიერებას ვერ ვატყობ. ეს არ იძლევა აღმაფრენას, პირიქით, დამარცხებებისკენ მივყავართ. სხვა გუნდები მხნედ გამოიყურებიან, უკეთესობის კენ მიდიან, "ლეიკერსი" კი უბრალოდ ერთ ადგილს ტკეპნის. მათ ისევ უნდა დაინყონ თამაშისგან სიამოვნების მიღება. ამისთვის საჭიროა, ერთად თამაშით კარგად იგრძნონ თავი.

ამ გუნდს აქვს დრო. მე არ ვაპირებ ამ სეზონში ყველაფრისთვის ხაზის გადასმას. გამოსწორებისთვის დრო საკმარისია, მაგრამ ბიჭებმა ერთმანეთს თვალებში უნდა ჩაბედონ და პირველ რიგში, დაცვაში თამაშზე ალონ ვალდებულებული", - ამბობს ჯონსონი.

■■■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** იმედგაცრუებას ვერ მალავდა გუშინ, "კლიველენდთან" ნაგების გამო.

"ასეა თუ ისე, უნდა შევაჩეროთ ეს ვარდნა. საკუთარ თავს ვერ მივცემთ იმის უფლებას, რომ ამ ნაგებებმა ჩვენი საბრძოლო ენი მოკლას. ეს მძიმეა ყველა ჩვენგანისთვის. მოგება გვინდა. გუნდი გვეუბნა ნაგებებისან. გვესმის, რომ ასეთი მდგომარეობა მუდმივად არ იქნება", - აცხადებს კალათბურთელი ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

■■■

ამასობაში, **მეჯიქ ჯონსონის** მიერ ნახსენები **სტივ ნეში** ისევ ვერ ახერხებს მოედანზე დაბრუნებას. როგორც ცნობილია, კანადელმა მარცხენა ფეხის ახალი ტრავმა აღდგენითი პროცესის მსვლელობისას მიიღო.

ვეტერან გამთამაშებელს შეეძლო სამი კეკრის წინ დაბრუნებულიყო მოედანზე, მაგრამ ამაღი დაზიანება ფეხის დატვირთვის საშუალებას არ იძლევა. ვარაუდობენ, რომ ნეში თამაშს დეკემბრის ბოლოს დაიწყებს.

საერთოდ, "ლეიკერსში" გამთამაშებლის მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა. ნეშის გარდა, ტრავმირებულია **სტივ ბლეიკი**, რომელიც ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ამჟამად, ამ პოზიციას **დარიუს მორისი** და **ჯრის დუპონი** ავსებენ.

ერთ-ერთი ნყაროს ცნობით, კალიფორნიული კლუბი ახალი პლეიმეიკერის ძებნას ინყებს. ადრე, რეალურ კანდიდატად სახელდებოდა "ტორონტოს" მცველი **ხოსე კალდერონი**, მაგრამ მისი და **ანდრეა ბარნიანის პაუ გასოლზე** გაცვლის შესახებ ჭორი არ დადასტურდა.

P. S. გუშინ, ვეიან გახდა ცნობილი, რომ "ლეიკერსის" ხელმძღვანელობა 34 წლის **ჯეი პაუსსა** და 29 წლის **დელონტე უეტს** შორის აკეთებს არჩევანს.

დერბი ნიქსმა შეიკრიბა

ბიგ-ლიროთაჯ

ჯამალ ქრაუფორდის ბურთს

გუშინ, რეგულარულ ჩემპიონატში დღის მატჩი ნიუ იორკის დერბი იყო. "ბრუკლინი" და "ნიუ იორკი" ამ სეზონში მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. პირველი შეხვედრა "ნეტსმა" მოიგო და გუშინდელი მატჩიც ძალიან კარგად დაიწყო. მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ დებიუტში და 17 ქულით დანინაურება მოახერხეს. მაგრამ, როგორც გაირკვა, მთავარი ბრძოლა ნინ იყო. დენნის სათავეში ჩაუდგა **კარმელო ენტონი**. მეორე მეოთხედის ბოლოს, მელომ ზედიზედ სამჯერ ჩააგდო, 7 ქულა დააგროვა და პარტნიორების დახმარებით 18:6 სპურტი მოანყო. დაიწყო სრულფასოვანი ბრძოლა.

და ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა 39 წლის **ჯეისონ კიდმა**, რომელსაც, თავის დროზე, ორჯერ პლეიოფის ფინალში ჰყავს გაყვანილი "ნეტსი". ამჯერად, ვეტერანმა ფაქტობრივად დაასაბრა თავისი გუნდი. პლეიმეიკერმა მეოთხე 37 (!) წუთი გაატარა, რომლის დროსაც არც ერთი შეცდომა არ დაუშვია, სამაგიეროდ, რვიდან ექვსი სამქულიანი გამოიყენა, 6 მოხსნა გააკეთა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა შეასრულა. საერთოდ, მორეული ტყორცნები იმ დღეს "ნიუ იორკი" მთავარ იარაღად იქცა – სტუმრებმა 28 ცდიდან 14 გამოიყენეს და ეს იმ დროს, რომ სამქულიანების თითარმა სპეციალისტმა **სტივ ნოვაკმა** მორიდან ერთხელაც ვერ ჩააგდო.

მატჩის ბედი კი საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე გადაწყდა, როცა კიდმა საყაიმო ანგარიშისას სამქულიანი ჩააგდო და ერთი ჯარიმის შესრულების უფლებაც მიიღო. თუმცა ვეტერანმა საჯარიმო ვერ გამოიყენა და მტკიცეს თამაშის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი დატოვა, მაგრამ **ჯერალდ უოლასმა** და **დერონ უილიამსმა** თითოეულ ალაილეს სამქულიანი. მატჩის შემდეგ, დერონმა კიდის შესახებ თქვა: *"მე ის მეზობელია". რა თქმა უნდა, ხუმრობით.*

ცალკე აღნიშვნის ღირსია კარმელოს თამაში. მართალია, მატჩი ბრუკლინის არენაზე იმართებოდა, მაგრამ ადგილობრივი პუბლიკა ფორვარდის მისამართით ერთხმად სანდერებდა: M-V-P! M-V-P! და მართლაც, წლევანდელი თამაშით ენტონი სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზის ერთ-ერთი მთავარი მაძიებელია. "ბრუკლინის" წინააღმდეგ მან შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 45 ქულა დააგროვა.

■■■

ამასობაში, "ლეიკერსმა" ბოლო 11 მატჩში მერვედ ნააგო და უკვე აღარაფერ აღიქვამს ამ გუნდის "კლივლენდთან" ნაგების სენსაციად. მატჩში, რომელშიც **კობი ბრაიანტმა** 42 ქულა დააგროვა (აქედან 16 დასკვნით მეოთხედში), **დუაიტ ჰოვარდს** კი ერთი ქულა დააკლდა დიდისტატურ 20+20-მდე, "ლეიკერსი" ვალდებული იყო გაემარჯვა, მაგრამ მოგება "კლივლენდს" ერგო, რომელიც დიმენტებში სულაც არ ჰგავდა თუმსაიდერს. 11 მატჩის გამოგოვების შემდეგ, მოედანზე დაბრუნებული **კაირი ირვინგი** შეუდარებელი იყო. ახალგაზრდა გამთამაშებელს მემთხვევით არ გამოუწვევია სეზონის სტარტზე ერთი ერთზე თამაშში კობი ბრაიანტი. მართალია, მან ეს ხუმრობით გააკეთა, მაგრამ გრძნობდა, რომ ელიტურ დონეს უახლოვდება. გუშინდელ მატჩში მარშანდელი სეზონის ახალბედამ "მხოლოდ" 28 ქულა დააგროვა, მაგრამ ამას 11 შედეგიანი პასი და 6 მოხსნა დაემატა. რაც მთავარია, ის უზარმაზარ ხელმძღვანელობდა პარტნიორებს მოქმედებას და მისი წყალობით ჩაატარეს სეზონის საუკეთესო მატჩი **სი ჯეი მაილზმა** და **ალონზო გრი**. **ვარეგა-ომ** კი ნააგო ფარქვეშ დვეთი ჰოვარდთან (მხოლოდ 2 მოხსნა), მაგრამ თამაშიდან ნაკლები ირვინგი.

ჩიკაგოში ურთულესი მატჩი მოიგო "ლოს-ანჯელესმა", რაც მეორე კალიფორნიული კლუბისთვის ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებაა. ეს ამ გუნდის საუკეთესო სერიაა ბოლო 21 წლის განმავლობაში. 1991-92 წლების სეზონში, "კლიპერსს" ზედიზედ რვა მოგება ჰქონდა. **ვინი დელ ნეგროს** გუნდს ნინ არც ისე ძლიერ "შარლოტასთან", "მილუოკისთან" და "დეტროიტთან" შეხვედრები აქვს, ასე რომ, ახალი საკლუბო რეკორდის დამყარება სრულად რეალური ჩანს.

ბრუკლინი–ნიუ იორკი 97:100

30:16, 23:33, 26:25, 18:26

ბ: ბოჯანი (23), უილიამსი (18+10 პასი), უოლსი (17), ჯონსონი (16+5 მოხსნა), უეისი (5+18 მოხსნა). **ნ-ო:** ენტონი (45+5 მოხსნა), სმიტი (16).

კლივლენდი–ლეიკერსი 100:94

29:23, 25:16, 14:23, 32:32

კ: ირვინგი (28+6 მოხსნა+11 პასი), კ. მაილზი (28+5 მოხსნა), ვარეგა (20+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), გი (17+5 მოხსნა), ჭომპსონი (1+10 მოხსნა). **ბ:** ბრაიანტი (42+5 მოხსნა), ჰოვარდი (19+20 მოხსნა), ფრიდლი პასი (13+9 მოხსნა), ჰილი (2+10 მოხსნა).

დენვერი–დეტროიტი 94:101

25:17, 17:31, 24:24, 28:29

დენ. ნაითი (20+5 პასი), მაქსიელი (18+6 მოხსნა+6 დაფარება), სტაკი (17), ფრაზიერი (7+11 მოხსნა), მონრო (6+12 მოხსნა+3 ჩაჭრა).

დეტ. ლოუსონი (26+5 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), პრიჩარი (15), ოგუოდალა (12+8 მოხსნა), მაკგი (12+4 დაფარება), მილერი (11+7 პასი+3 ჩაჭრა).

ნიუ ორლეანი–ქალთაგრიი 70:77

22:11, 20:25, 18:20, 10:21

ნ-ო: ანდერსონი (17+11 მოხსნა), დევისი (13+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ოლივერი (11+5 მოხსნა), ლოპესი (2+10 მოხსნა+5 დაფარება).

ქ: ჯონს. ჯონსონი (26+6 მოხსნა), ბილი (15+7 მოხსნა), ნენე (10+10 მოხსნა).

ჩიკაგო–ქლივლენდი 89:94

8:21, 22:26, 25:22, 24:25

ჩ: ბუზერი (24+13 მოხსნა), ბოგანოვიჩი (18+7 მოხსნა+5 პასი), ნოა (10+11 მოხსნა+6 პასი), გიბსონი (10). **კ:** გრიფინი (22+10 მოხსნა), ჰილი (18+3 ჩაჭრა), ბარნსი (14), ჯონუორკერი (10+5 პასი), ჯორდანი (7+10 მოხსნა).

ანგრთნელის შეცვლა აღრეა

ამ დღეებში, ამერიკულ პრესაში სერიოზულად ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ NBA-ის ორ კლუბში იგეგმება მწვრთნელის შეცვლა.

ერთ-ერთი ასეთი გუნდია "ფინიქს სანზი", რომელმაც **ელენ ჯენგრის** ხელმძღვანელობით ზედიზედ შვიდი მატჩი ნააგო, რაც ამ კლუბში 2004 წლის შემდეგ არ მომხდარა. მაგრამ, "სანზის" მფლობელი **რობერტ სავარი** აშბობს, რომ ახლა არ არის სამწვრთნელო შტაბის შეცვლის დრო, ამიტომაც, მოლოდინით ნეგატიური შედეგები არ იმოქმედებს ჯენგრის მიმართ ნდობის ფაქტორის შემცირებაზე.

"ჩვენ მთლიანად დარწმუნებულნი ვართ გუნდის სამწვრთნელო შტაბში და არ ვაპირებთ მის შეცვლას, - განაცხადა ESPN-თან კომენტატორი კლუბის მფლობელმა. - *ჯერ ძალიან ადრეა შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება".*

■■■

ასევე არ აპირებს მწვრთნელის შეცვლას "ტორონტოს რეპტორზის" ხელმძღვანელობა. კანადური კლუბთან დაახლოებული ერთ-ერთი წყაროს ცნობით, "რეპტორზის" დამრიგებელი **დუეინ ვეისი** ჯერჯერობით მყარად იკავებს თავის პოსტს.

2012-13 წლების სეზონის სტარტზე გამწვრთვნ 22 მაგჭაში "ტორონტომ" 18 მარცხი იწვნია. ვეისისთან კონტრაქტი 2013-14 წლების სეზონის ბოლომდეა ძალაში.

ლებრონი: მოკეთე, ჩარლზ!

ესპნ.გოლი საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ჩარლზ ბარკლიმ**, რომელიც ამჟამად ეროვნულ ტელევიზიაში ანალიტიკოსად მუშაობს, გასულ ხუთშაბათს განაცხადა, რომ "მაიამის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა** წელს უფრო ცუდად დაიწყო თამაში.

ორი დღის წინ, "ატლანტასთან" მატჩში უეიდმა თამაშიდან 13-დან 11 ტყორცნის რეალიზება შეძლო, რის შემდეგაც ლებრონმა ბარკლის თბოენით მიმართა, რომ შენჯგუფს დუეინს ესაუბრა.

"ვფიქრობ, დროა ბარკლიმ პირი დაბუროს და შენჯგუფს უეიდის კრიტიკა, - მოაჯავს USA Today-ს ლებრონის სიტყვები. - *თუ დააკვირდებით, ბოლო მატჩია უეიდი თამაშიდან ტყორცნების 80 პროცენტს იყენებს. ამიტომაც არის ის დიდი კალათბურთელი. საერთოდ რაზეა ლაპარაკი? ეს ხომ თითქმის არარეალურია რიცხვებია".*

"ატლანტასთან" მატჩამდე, უეიდმა "ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ თამაშიდან 12-ჯერ ისროლა და ცხრა ბურთი მოთავსა კალათში.

გვანცი მოსაშვილი
გია თევზაძეიმედიდან

ცურვა

შეკრება სტამბოლში

თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო

მრწყინვალედ ერთხელ, საუკეთესო მოცურავეები ერთად იკრიბებიან იმის გამო, რომ გამოავლინონ საუკეთესო "მოკლე წყალზე". ახლა სწორედ ასეთი მომენტი დადგა – 12-16 დეკემბერს, 25-მეტრიან აუზში მეთვრამეტედ გაიმართება პლანეტის პირველობა. ჩემპიონატის მასპინძელი თურქეთის ქალაქი სტამბოლი, კერძოდ, უნივერსალური კომპლექსი "სინან ერდემ დოუმი", რომელიც 16 ათას მაყურებელს იტევს.

იმის გამო, რომ "მოკლე წყალზე" შეჯიბრებები ოლიმპიურ პროგრამაში არ შედის, იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც ასეთ აუზში გამოსცდილან სპეციალიზდებიან, მთავარი ტურნირი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატია. ამიტომაც იქედან უნდა ვიცოდით, რომ ათლეტები მაღალ შედეგებს აჩვენებენ, მით უმეტეს, რომ წელს პირველობაზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა.

"სინან ერდემ დოუმი" პირველად არ მასპინძლობს დიდ სპორტულ ღონისძიებას. 2003 წელს აშენებული და 2010 წელს რეკონსტრუირებული არენა მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატსაც და ჟიდოობაში პლანეტის პირველობას იღებდა. წელს კი აქ დარბაზობებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა მძლეოსნობაში. სპეციალურად ცურვის ჩემპიონატისთვის კიდევ ერთი რეკონსტრუქცია გახდა საჭირო და საკალათბურთო მოედნის ნაცვლად გაჩნდა 25-მეტრიანი საცურაო აუზი. ორგანიზატორთა თქმით, წყლის ტემპერატურის რეგულირებისთვის გამოყენებული იქნება კომპიუტერული ტექნოლოგიები, რითაც მოცურავეები კომფორტულად იგრძნობენ თავს მთელი ტურნირის განმავლობაში.

ასეთ კომფორტულ პირობებში გათამაშდება მედლების 40 კომპლექტი: ნახევარი მამაკაცებს ეკუთვნით, მეორე ნახევარი – ქალებს. საერთო ჯამში, თურქეთში ჩავიდა 162 ქვეყნის წარმომადგენელი. სპორტსმენებს შორის ვხედავთ მსოფლიოს დონის მოცურავეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე. ამერიკელი **რაიან ლოხტე** ერთ-ერთი პრეტენდენტია იმისა, რომ მომავალი ჩემპიონატის მთავარი გმირი გახდეს. ორი წლის წინ, საამოროში გამართულ პირველობაზე მან ექვსი ოქრო მიიღო. ლონდონის ოლიმპიადაზე ლოხტემ ჩააგდო, რადგან მინიმუმ ხუთ ოქროს გეგმავდა, მაგრამ მხოლოდ ერთი პირველი ადგილი დაიკა-

რაიან ლოხტე

ვა და კიდევ ოთხი მედალი მიიღო მეორე და მესამე ადგილებისთვის. საერთოდ, ამბობენ, რომ 28 წლის მოცურავემ უნდა დაიკავოს მსოლიო ცურვის მთავარი ვარსკვლავის ადგილი, რომელიც **მაიკლ ფელპსის** ნასვლის შემდეგ განთავისუფლდა. სრულიად შესაძლებელია, რომ მან ეს ეკალუმი უკვე ამ ჩემპიონატზე შეავსოს. გადადეს ან არ გადეს, რადგან ისედაც რამდენიმე წელი გაატარა ლეგენდარული **მაიკლ ფელპსის** ჩრდილში.

მაგრამ ლოხტეს გარდაც არიან მოცურავეები, რომელთა გამოსვლაზე ღირს დაკვირვება. **ამორი ლევო, ფლორან მანოდუ**, **ელისონ შმიტი, კასუკე ჰაგინო** – ამ მოცურავეთა უმრავლესობამ გასულ ოლიმპიადაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებენ.

სხვათა შორის, რამდენიმე კვირის წინ, გაიმართა ევროპის ჩემპიონატი "მოკლე წყალზე" და იქ ფრანგები უკონკურენციოდ იყვნენ. ბუნებრივია, ევროპულ არენაზე კონკურენცია ნაკლებია, ვიდრე მსოფლიოზე. ახლა საქმეში ჩაებმებიან ამერიკელები, იაპონელები, ჩინელები და შესაბამისად, ფრანგები აღარ ჩანან ისეთი მრისხანენი, როგორც კონტინენტის პირველობაზე.

ფინალების განრიგი

12 დეკემბერი

200 მ, თავისუფალი, ქალები
200 მ, ბატერფლაი, ქალები
400 მ, მედლეები, ქალები
4x100 მ, თავისუფალი, ქალები
4x200 მ, თავისუფალი, ქალები

13 დეკემბერი

400 მ, მედლეები, კაცები
50 მ, ბრასი, ქალები
100 მ, ბუფლაგა, კაცები
100 მ, ბუფლაგა, ქალები
100 მ, ბრასი, კაცები
100 მ, ბაბტერფლაი, კაცები
800 მ, თავისუფალი, ქალები
4x200 მ, თავისუფალი, კაცები

14 დეკემბერი

100 მ, თავისუფალი, ქალები
200 მ, ბუფლაგა, ქალები
200 მ, ბრასი, კაცები
50 მ, ბაბტერფლაი, ქალები
400 მ, თავისუფალი, კაცები
400 მ, თავისუფალი, ქალები
50 მ, თავისუფალი, კაცები
100 მ, კომპლექსი, ქალები
200 მ, კომპლექსი, კაცები
4x100 მ, კომპლ. ესტაფეტა, ქალები

15 დეკემბერი

100 მ, ბრასი, ქალები
50 მ, ბუფლაგა, კაცები
50 მ, ბაბტერფლაი, კაცები
200 მ, კომპლექსი, კაცები
4x100 მ, თავისუფალი, ქალები

16 დეკემბერი

100 მ, თავისუფალი, კაცები
50 მ, ბუფლაგა, ქალები
200 მ, ბუფლაგა, კაცები
200 მ, ბრასი, ქალები
100 მ, კომპლექსი, კაცები
100 მ, ბაბტერფლაი, ქალები
50 მ, ბრასი, კაცები
50 მ, თავისუფალი, ქალები
200 მ, ბაბტერფლაი, კაცები
1500 მ, თავისუფალი, კაცები
200 მ, თავისუფალი, ქალები
4x100 მ, კომპლ. ესტაფეტა, კაცები

ბოგბაერთი

რასისტი ვოზნიაცკი?



ვოზნიაცკის პაროდია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკი** სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა **სერენა უილიამსზე** გაკეთებული პაროდიის გამო. ვოზნიაცკიმ ამერიკელი ჩოგბურთელი გასულ უქმეებზე, სან პაულუში გამართული საჩვენებელი მატჩების დროს გააჯავრა.

რუს **მარია შარაპოვასთან** შეხვედრის მსულელობისას, 22 წლის დანიელმა ამერიკელის სიმსუქნეზეც გააკეთა იმიტირება, როცა ტანსაცმელში პირსახოცი ჩაიდო. ამ პაროდიის ნახვა Youtube-ის გვერდზეც შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ბრაზილიაში **დომინიკა ციბულკოვასთან** საჩვენებელ მატჩშიც კაროლინმა იგივე გააკეთა.

მაგრამ ამჯერად, პაროდიამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მაგალითად, Yahoo! Sports-ზე მას "ძალიან სასაცილო" უწოდეს, მსგავსებას კი "განსაკუთრებული". ამ დროს, სხვა ინტერნეტგვერდებმა ვოზნიაცკის გამოსულობი რასისტული ელემენტები შეამჩნიეს.

"ეს არ არის უწყინარი ხუმრობა", – ასე წერია ერთ-ერთ სტატიაში. "ეს წმინდა წყლის რასიზმია. შეეი ქალბატონების ფორმებზე პაროდია? ძალიან სასაცილოა სულელურ თეთრო გოგო", – დაწერა Huffington Post-ის ერთ-ერთმა ბლოგერმა.

ეს თემა ასევე განიხილეს ჰოპულარული ამერიკული ტოქშოუს – The View-ის ეთერში. ერთ-ერთმა ნამყვანმა **შერი შეპარდმა** აღნიშნა:

"ვიცი, რომ ისინი მეგობრობენ, მაგრამ ეს პაროდია მაინც უსიამოვნო კვალს ტოვებს. ადამიანები ხშირად იცინიან ჩვენი სხეულის ნაწილებზე, მაგრამ მე არ მომწონს ის, რომ სერენა უილიამსის გარეგნობის ამ ნაწილს გაუსვეს ხაზი".

შეპარდის თანაწამყვანმა, ცნობილმა მსახიობმა **ვუპი გოლდბერგმა** ასეთი რამ განაცხადა:

"სერენას პაროდიას ყველა აკეთებს კაციც და ქალიც. მე მხოლოდ ის მაინტერესებს: რატომ მაინცდამაინც ის? რა არის მასში ასეთი? კანის ფერის გამო ხომ არა? ან იმის გამო, რომ დიდი წელი აქვს და არც ორ გრამს იწონის? თუ იმის გამო, რომ მას შეუძლია ნებისმიერი მეტოქე ორად ზე გააკრას?"

ცხელი ხაზი

ორიგინალური სტატია

ფეხბურთი

მს. ჩემპიონატი. შ

კლუბები. მე-5 ადგილისთვის

ულსანი-პიროვიდა 2:3

1/2 ფინალი

ალ ახლი-კორინთიანსი 0:1

ინგლისის თასი

II რაუნდი

მენსფილდი-ლინკოლნი 2:1
ოლდჰორდი-ატარინგტონი გაგრძელდება

ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

სუონსი-მილლსბრო 1:0

იტალია

სერია B

ჩიტადელა-ვერონა 2:1

იტალიის თასი

1/8 ფინალი

პარმა-კატანია 1:1 პენ. 1:2
უდინეზუსი-კალიარი 1:0

შოტლანდიის თასი

1/8 ფინალი. I მატჩები

ბილლკარ-მიდარი 1:1
კრუდერეა-ბარსელონეტა 0:2
მაზლიორა-სტენიუს 0:5
ატლეტიკო-ჰიბერნიან 3:0
სელტა-რეალი 2:1

გერმანია

რეგიონალიგა (ლა)

ლევერკუზენი II-ვიქტორია (ქ) 2:3

სპორტგეთი

ალიჩე-ჩიტისი 2:0
ბრესტი-მონპელიე 1:2
ევიანი-ტრუა 2:0
ლორიანი-სოშო 2:0
ლიონი-ნანსი 1:1
ბასტია-მარსელი 1:2

II ლიგიზონი

სეტუბალ-დიპონი გაგრძელდება

ბელგიის თასი

1/4 ფინალი. I მატჩები

სერაინ-ოსტენდე 2:1
სტ. ტრუიდენი-ჰერტენიან 0:0

შოტლანდიის თასი

IV რაუნდი

ალბიონ-ქალედონიანი 2:1

შოტლანდიის თასი

IV რაუნდი

არბროა-სელტიკი 0:1

თურქეთის თასი

1/8 ფინალი

გენჯლერი-მერსინი 2:3
ანტალია-გენთთაშპორ 2:1
ფენერბაჰჩე-ბიოზთეფე 4:0

საბერძნეთის თასი

1/16 ფინალი

ვერია-ტრასივულოს 0:0
კალიეთეა-პარსი 3:1
ლარისა-ასტერასი 0:0
ოლიმპიაკოსი (პ)-ატრომიტოსი 1:1

ნორვეგიის თასი

1/4 ფინალი. II მატჩი

ჯაიფუკი-ზედიანა 2:0 (1:1)

ბელგიის თასი

1/8 ფინალი. II მატჩი

ლოვენი-სპარტაკი 7:1 (1:0)

ისრაელი

აშდოდი-ჰაპოელი (ა) 2:0

კალათბურთი

უეარეთასი

ერმლანდი-ტრიუეზი 94:95 (ო)
დონეცკი-ვალენციასარი 88:81 (ო)
ოსტენდე-უნიმსი 67:74
სასარი-ორლუანი 71:95
სოკოტი-ლოკომოტივი 70:87
სტილვეტი-პანიონიოსი 84:85
ციბონა-უელვი 81:86
ცარვენა ზვეზდა-სევილია 70:77
შოლე-სპარტაკი 68:76
აპოდემიკი-გუდუნლუსტი 55:74
ბილბაო-შარლეროა 85:84
ვალენსია-ალიკანტა 93:68
ვიშრცბურგი-ბანდიონი 62:81
ლე მანი-ვიზ რიგა 67:69
ნიმაზური-პაპოლი (ი) 74:82
რუდუშაის-გუდიველნიკი 73:84

TV პროგრამა

13 დეკემბერი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. ფულემი-ნიუკასლი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. დორტმუნდი-ლეგერკუზენი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. ატლეტიკო-ვილეს სარსფილდი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. უეიტონ-ტოტენჰემი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
19:00 პოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტური. აიაქსი-გრონინგენი.
21:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-აიაქსი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვოლბურგი-ბაიერნი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პომერანიი-ჰოფენჰაიმი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიაგარა-კლიპერსი.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მანჩესტერ იუნაიტედ-ბენფიკა.
17:00 კალათბურთი. NBA. 1999 წელი. ნიუ იორკი-ინდიანა.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. 60-ანი წლების ოცნება.
20:00 NBA ACTION.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. X ტური. ფენერბაჰჩე-კანტუ (LIVE).
23:00 ყოველკვირეული ტელეევროლიგა - ტურასი-ვორლდსპორტი.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. X ტური. ბარსელონა-ცსკა (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მიმა.ო.
12:40 სპორტ-NEWS.
13:10 რაგბი. პენინ.ეულის თასი. მანჩესტერი-სარაცენსი.
15:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მიმა.ო.
17:20 სპორტ-NEWS.
17:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. გენკი-ბაზელი.
19:50 კალათბურთი. NBA პოესტონი - ტორონტო
21:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მიმა.ო.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	0	8	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	7	16	(მცირე წვიმა)
ბათუმი	7	15	(მცირე წვიმა)
ფოთი	6	14	(მზე)
ზუგდიდი	4	15	(მზე)
გორი	2	9	(მცირე წვიმა)
თელავი	0	8	(მცირე წვიმა)
სენაკი	0	6	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	-8	3	(მზე)
ბორჯომი	-5	7	(მზე)
მესტია	-5	6	(მზე)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1678
1 ამერიკული დოლარი	1.6646
1 ბრიტანული ფუნტი	2.6863
100 რუსული რუბლი	5.4165

ბოგბაერთი

ყველაზე სასურველი

პარლამენტარ ემუქრება მსოფლიოს კიდევ ერთ ყოფილ ჩოგანს, 25 წლის სერბ **ანა ივანოვიჩს**. პროფესიული ტურის ერთ-ერთი ულამაზესი წარმომადგენელი ერთადერთი ჩოგბურთელი გახდა, ვინც AskMen-მა წლის 99 ყველაზე სასურველი ქალბატონების სიაში შეიყვანა. ივანოვიჩი ამ რეიტინგში 98-ე ადგილის იკავებს.

სპორტსმენთაგან ამ კლასიფიკაციაში ვხედავთ მოთხილამურე **ლინდსი ვონს** (73-ე ადგილი), მძლეოსნებს – **ლერონ ფრანკოსა** (65) და **ლოლო ჯონსს** (41), აგრეთვე უფბურთელს **შოუ სოლოს** (30).

რეიტინგის ლიდერი კი მსახიობი **ჯენიფერ ლოურენსი** გახდა.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

ფორმულა 1

ჩემპიონი მხოლოდ მეხუთედ

ცოტა ხნის წინ, გამოვაქვეყნეთ ჟურნალ "ფორბსის" მონაცემები ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტების შესახებ. ამჯერად, ამ ავტორიტეტულმა გამოცემამ შემოგვთავაზა ფორმულა 1-ის გუნდების ღირებულებები. მათი საერო ფასი 4.05 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ფორმულა 1-ის მორიგმა სეზონმა დაიფიცირა „რედ ბულის" ტეგებონით: ზედიზედ მესამედ ავსტრალიის გუნდმა მოიგო კონსტრუქტორთა თასი, მისი პილოტი **სებასტიან ფეტელი** კი სამგზის ჩემპიონი გახდა. ეხერგეტიკული სასმელების მწარმოებელმა კომპანიამ ასეთი კონკურენტუნარიანი საჯიხიო სულ რაღაც შვიდ წელინადში შექმნა, თანაც მას ზურგს არ უმაგრებდა არც ერთი საავტომობილო გიგანტი. 2010 წელთან შედარებით, გუნდის ღირებულება 67 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ასეთი წარმატებების მიუხედავად, „რედ ბული" ძალიან ჩამორჩება რეიტინგის პირველ ადგილს, რომელსაც ლეგენდარული „ფერარი" იკავებს.

1. ფერარი

გუნდის ღირებულება: 1,15 მილიარდი

მფლობელი: Fiat Group
ქვეყანა: იტალია
მოგება: 384 მლნ
ბიუჯეტი: 260 მლნ
მთავარი სპონსორები: Marlboro, Santander, Shell

უდიდესი ისტორიის მქონე გუნდი მაგნიტივით იზიდავს არა მხოლოდ გულშემატკივრებს, არამედ სპონსორებსაც. კომპანიები მზად არიან ასტრონომიული თანხები გადაიხადონ იმისთვის, რომ მათი ლოგო ნიღაც მოლიდზე განთავსდეს. მარტო Marlboro-თან, Santander-თან და Shell-თან ამ კონტრაქტს მოაქვს „ფერარისთვის" წელინადში დაახლოებით 250 მილიონი დოლარი - ასეთ თანხას ფორმულა 1-ის არც ერთი სხვა გუნდი არ იღებს.

2. მაკლარენი

გუნდის ღირებულება: 800 მლნ
მფლობელები: Mumtalakat Holding, რონ დენისი, TAG Group
ქვეყანა: ბრიტანეთი
მოგება: 272 მლნ
ბიუჯეტი: 215 მლნ
მთავარი სპონსორები: Vodafone, Johnnie Walker, Hugo Boss

„მაკლარენი", რომელმაც წინა ორი სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა, ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფასი დაუვარდა 2010 წლის რეიტინგთან შედარებით. მისი ღირებულება 5 მილიონი დოლარით დაეცა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ბრიტანულ საჯიხიბოს კიდევ უფრო რთული დროება დაუდგეს. „მაკლარენი" დატოვა ნიძიერმა **ლუის ჰემილტონმა**, Vodafone კი აპირებს გადახედოს სასპონსორო ხელშეკრულების პირობებს, რომელსაც დღეისთვის ყოველწლიურად 75 მილიონი დოლარი მოაქვს.

3. რედ ბული

გუნდის ღირებულება: 400 მლნ
მფლობელი: Red Bull
ქვეყანა: ავსტრია
მოგება: 160 მლნ
ბიუჯეტი: 205 მლნ
მთავარი სპონსორები: Casio, Infiniti, Pepe Jeans

2011 წელს, „რედ ბულმა" ყველაზე მეტი ჰონორარი გამოიმუშავა - 98 მილიონი დოლარი, რასაც დაემატა 62 მილიონი სასპონსორო ხელშეკრულებებისგან, აზრებუტკიის რეალიზაციისა და სხვა აქციებისგან. კომერციული პარტნიორებისგან შემოსავალი არც ისე მაღალია - ფორმულა 1-ის გუნდების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, „რედ ბული" ვერ ყიდის ყველა სარეკლამო ადგილს, ამიტომაც მათ საკუთარი სასმელების პოპულარიზაციისთვის იყენებს.

„რედ ბულში" შესანიშნავად იციან, როგორ წარმართონ საქმეები გლობალურ დონეზე. მათ ბიზნესის სფეროში მაღალი დონის სპეციალისტები ჰყავთ", - ამბობს Just Marketing International-ის შეფი **ზაკ ბრანი**. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგების მისაღწევად, კომპანიას ფორმულა 1-ის გუნდში უდიდესი თანხების ჩადებამ მოუნდა.

4. მერსედესი

გუნდის ღირებულება: 390 მლნ
მფლობელი: Daimler
ქვეყანა: გერმანია
მოგება: 176 მლნ
ბიუჯეტი: 215 მლნ
მთავარი სპონსორები: Petronas, MIG Bank, Allianz

„მერსედესი" გამოეთხოვა მსოფლიოს შეიდგზის ჩემპიონს **მიხაელ შუმახერს**, რომლის ადგილას რალფ შუმახერი მივიდა. ვერ უცნობია, როგორ აისახება ეს ტრანსფერი გუნდის ფინანსურ მაჩვენებლებზე, მაგრამ მალაზიურ სანავთობო კომპანია Petronas-თან 55-მილიონიანი კონტრაქტი, გერმანელთა ფინანსური კეთილდღეობის გარანტიაა. ბიუჯეტის მიხედვით, „მერსედესი" დღეს მხოლოდ „ფერარის" ჩამორჩება.

5. უილიამსი

გუნდის ღირებულება: 290 მლნ
მფლობელი: სერ ფრენკ უილიამსი
ქვეყანა: ბრიტანეთი
მოგება: 153 მლნ
ბიუჯეტი: 125 მლნ
მთავარი სპონსორები: PDVSA, Randstad, Head & Shoulders

კონსტრუქტორთა თასის ცხრაგზის მფლობელი უკვე დიდი ხანია ვერ ახერხებს სეზონის შედეგების მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვედრას. ამ წლებში უილიამსი გამოსცლას დაემატა სატანტული სპონსორის - AT&T-ის დაკარგვა. დახმარება საზღვარგარეთიდან მოვიდა. ვენესუელას სახელმწიფო სანავთობო კომპანია PDSVA-ს 46 მილიონი გადაიხადა იმის სანაცვლოდ, რომ ბრიტანული საჯიხიბოში გარანტირებული ადგილი ჰქონდეს ვენესუელელ **პასტორ მალდონადოს**.

6. ლოტუსი

გუნდის ღირებულება: 270 მლნ
მფლობელი: Genii Capital
ქვეყანა: საფრანგეთი
მოგება: 150 მლნ
ბიუჯეტი: 160 მლნ
მთავარი სპონსორები: Lotus, Unilever, Embratel

„რენოს" საქარხნო გუნდის მემკვიდრემ - ლუქსემბურგულმა კერძო საინვესტიციო ფონდმა Genii Capital-მა საჯიხიბო შეიძინა და თავიდან მასაც სასპონსორო კონტრაქტების იმედი ჰქონდა, რომელიც მის რენტა-დრაივერებს უნდა მოეტანათ. მაგრამ შესამჩნევი ვერაფერი გამოვიდა. ეს ხელს არ აშლის ჭორების მიხედვით, გუნდის მფლობელები - **ჟერარ ლოპესი** და **ჟერარ ლეკუსი** (Genii Capital) დამატებით ფინანსურ შემოსავალს ეძებს ვალების გასასტუმრებლად.

7. ფორს ინდია

გუნდის ღირებულება: 225 მლნ
მფლობელები: ვიჯეი მალია, Sahara Group
ქვეყანა: ინდოეთი
მოგება: 107 მლნ
ბიუჯეტი: 120 მლნ
მთავარი სპონსორები: Sahara, United Breweries Group (Kingfisher, Whyte & Mackay, Royal Challenge)

ინდური გუნდი, რომელიც ნორმალურ შედეგებს აჩვენებს ტრასაზე, ბილდზე სარეკლამო ადგილების გამოყენების მხრივ „რედ ბულზეა" ორიენტირებული. „ფორს ინდიას" თანამფლობელი, მილიარდერი **ვიჯეი მალია** საჯიხიბოს თავისი კომპანიის - United Breweries-ის ბრენდების პოპულარიზაციისთვის იყენებს. იგივეთია დაკავებული Sahara-ს ჯგუფი, რომელსაც გუნდის 42-პროცენტიანი წილი ეკუთვნის.

8. ზაუბერი

გუნდის ღირებულება: 155 მლნ
მფლობელები: პეტერ ზაუბერი, მონიშა კალტენბორნი
ქვეყანა: ბრიტანეთი
მოგება: 92 მლნ
ბიუჯეტი: 90 მლნ
მთავარი სპონსორები: Telmex, Claro, სოფეზბურიო კლუბი „ჩელსი"

ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული ზარალი მიაყენა სასპონსორო ხელშეკრულებებისგან "ზაუბერის" შემოსავლებს, სამაგიეროდ, გუნდს დაეხმარა ფორმულა 1-ის პოპულარიზაცია ლათინურ ამერიკაში. კომპანიებმა - Telmex-მა, Jose Cuervo-მ, Claro-მ, Disensa-მ, Interproteccion-მა და NEC-მა აღადგინეს „ზაუბერის" ფინანსური კეთილდღეობა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ „ზაუბერი" აქტიურად იწვევს თავის როგებში მექსიკელ მრბოლელებს: წელს მისი საბრიზო პილოტი იყო **სერხიო პერესი**, გაისად კი მას **ესტებან გუტიერესი** შეცვლის.

9. ტორო როსო

გუნდის ღირებულება: 135 მლნ
მფლობელი: Red Bull
ქვეყანა: იტალია
მოგება: 80 მლნ
ბიუჯეტი: 105 მლნ
მთავარი სპონსორები: CEPSA, Falcon Private Bank

თავდაპირველად, „ტორო როსო" გამოიყენებოდა „რედ ბულისთვის" პილოტების მოსამზადებლად, დროთა განმავლობაში კი გუნდი დამოუკიდებელ ერთეული გახდა. „ს,უკეროსის" საქმეები არც ისე კარგად მისდის, მიუხედავად ამისა, მან 2011 წელს 50 მილიონი გამოიმუშავა და ახალი სპონსორები მიიღო: Falcon Private Bank და ესპანური სანავთობო კომპანია - CEPSA.

10. კატერჰემი

გუნდის ღირებულება: 105 მლნ
მფლობელი: ტონი ფერნანდესი
ქვეყანა: მალაზია
მოგება: 87 მლნ
ბიუჯეტი: 95 მლნ
მთავარი სპონსორები: General Electric, EADS, Sibur

თავისი არსებობის სამწლიან ისტორიაში „კატერჰემი" სტაბილურად იკავებს მეათე ადგილს. ეს ხელს არ უშლის გუნდს, მიიღოს 45 მილიონი დოლარის ოდენობის საარბიტრო თანხა და 30 მილიონი General Electric-თან კონტრაქტისგან.

11. მარუსია

გუნდის ღირებულება: 75 მლნ
მფლობელი: Marussia Motors
ქვეყანა: რუსეთი
მოგება: 46 მლნ
ბიუჯეტი: 65 მლნ
მთავარი სპონსორები: Virgin, Armin Strom

მილიარდერი **რიჩარდ ბენსონის** კომპანიამ - Virgin Group-მა ფორმულა 1-ის გუნდი გაყიდა, მაგრამ იქ სპონსორის რანგში დარჩა. ისევე, როგორც „კატერჰემი" და HRT, „მარუსიაც" სამი წლისაა და ჯერ კიდევ ელოდება სამეფო რბოლებში თავის პირველ ქუდს.

12. HRT

გუნდის ღირებულება: 50 მლნ
მფლობელი: Thesan Capital
ქვეყანა: ესპანეთი
მოგება: 38 მლნ
ბიუჯეტი: 50 მლნ
მთავარი სპონსორები: TATA Motors, KH-7

ესპანური საჯიხიბოს შემოსავლების ერთადერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა კომპენსაცია, რომელსაც ფორმულა 1-ის დებიუტანტებს უხდიან. ასევე გუნდს წილად ხვდა ბედნიერება, სასპონსორო ხელშეკრულება გაეფორმებინა ესპანურ ქიმიურ კომპანიად KH-7-თან და ინდურ კომპანიად Tata Motors-თან, რომელიც რენტა-დრაივერის **ნარაიან კართიკეიანის** სპონსორი გახლავთ.

გია თევზაძეიშვილი

სამი ლიდერი

ISSN 2233-3827
დაბეჭდილია და გამოცემულია შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თევზაძეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნებერიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვახვა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაშიაშვილი; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნორჩის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: ილიაწინის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციისთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვეძლევით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ანა GE19CR0120007000043608